

ლიტერატურული გაზეთი

ვასილ ბესელია

კაფე

მელიქიშვილზე მოულოდნელად ბაგრატ სამუშაის გადაწყვეტა — სტუდენტობისას ერთად ვცხოვრობდით ნაქირავე ბინაში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ერთად გაგვიშვეს სამუშაოდ კვლევით ინსტიტუტში. ორ წელიწადში მე იქიდან წამოვედი, ის კი კარგა ხანს დარჩა.

კაფეს წინ ძელს კამზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. დავდექი და მივაშტერდი, ძლივს ვიცანი, კარგა ხნის უნახავი მყავდა. დამინახა თუ არა, წამოხტა და ჩემკენ გამოემართა.

გადავეხვიეთ ერთმანეთს.

— რავა ხარ, ბაგი! — ვეკითხები მე.

— სულ არ შეცვლილხარ! — მეუბნება ის.

ჩამოვსხედით.

მიყვება და ვუყვები ათას ამბავს... ბაგი არაჩვეულებრივი მთხრობელი იყო ახალგაზრდობაშიც. ნაკითხ და განათლებულ კაცად მიმაჩნდა ყოველთვის.

კაფეში შევიდეთ. ეს კაფე დღეს შევნიშნე. ერთი კვირის გახსნილია თურმეო. რესტორანი ვნახოთ სადმე-მეთქი, ვურჩიე, მაგრამ იუარა, ამ ადგილთან რაღაც მაკავშირებს და უნდა მოგიყვე, ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობდი, შევიდეთ, მწერალი ხარ, ეგებ, რამეში გამოგადგეს ჩემი მონათხრობიო.

შევედით. საკმაოდ დიდი დარბაზი დაგვხვდა.

— აქ, ადრე, სამი ოთახი იყო, — მიხსნის ბაგი, — ტიხრები გამოუღიათ და გაუერთიანებიათ, ე, მანდ, — კუთხის მაგიდისკენ მანიშნებს, — სანოლი იდგა... მოდი, იქ დავსხდეთ და მომტანს დაველოდოთ.

— მომტანია თუ მიმტანი? — ღიმილიანმა ვკითხე.

— რა ვიცი, აქეთ უნდა მოიტანოს და მიმტანი რაფერ იქნება, — იცინის.

მოვიდა მომტან-მიმტანიც, ბაგიმ — ოცი ხინკალი ჩააყრევინეთ და მანამდე ორი კათხა ლუდი მოგვართვითო.

ცხელოდა. აგვისტო იდგა. კათხები სულმოუთქმელად დავცალეთ და თითო-თითო კიდეც მოვატანინეთ.

— რა ტახტზე და სანოლზე მელაპარაკებოდი? — გავახსენე ბაგის დანყებული საუბარი.

— ბაშკუროვა გახსოვს? — მოულოდნელად აქეთ მეკითხება, — თქვენთან მუშაობდა, კონსტრუქტორებში.

— ალისა? როგორ არა, პეპელასავით გოგო იყო, მარტოხელა დედა. მგონი, ბიჭი ჰყავდა. შენ არ აძლევდი საშველს.

— ჩემზე უკეთ გხსოვებია, — იღიმება ბაგი, — მაგ მარტოხელამ დედა მიტირა, თავი კინალამ მომაკვლევინა!..

— რა, შეგიყვარდა? არ იყო ცუდი ადამიანი.

— მთელი სამი წელი ვდიე, ვერაფრით მოვათვინიერე, სალაპარაკოდ არ მიჩერებოდა, მანქანაში არ მიჯდებოდა... მთელმა ინსტიტუტმა იცოდა ჩვენი ამბავი... მტერი დამცინოდა, მოკეთე — დაანებე თავი, რას გადაეკიდე, ხომ ხედავ, არ უნდისხარო — მეუბნებოდა... ერთი სიტყვით, ამ ქალს ვერაფერი მოუხერხებდა და ეს მაგიუბნებდა.


ბაგის საუბრის საღერღელი აეშალა. საკმაო ჭრა აქვს ახლანდელ ლუდს, არ ჰგავს იმ ოცდაორკაპიკიან „უიგულევსკის“, რომელსაც ყუთობით ვსვამდით ახალგაზრდობაში.

— პირდაპირ მითხარი, კაცო, გიყვარდა ალისა, თუ საყვარლად გინდოდა, დაგეთრია?

II-III



ვასტანგ ჯავახიძე



ჩემი ოთხმოცდაათი

ჩემი ათეულები — ჩემი ოთხმოცდაათი, მილიონი ღამე და მილიარდი საათი. გამახსენდა ჭაბუა, პიკასო და საადი და დაიწყო ტაატი, ტაატი და ტაატი. ენა მებმის: მაოცებს კამათი მათი — აქეთ ოსტაატი და იქით დიდოსტაატი. მოდის სხვა ჯამათი, მიდის სხვა მასლაათი, დასრულდება ყოველი ესე ერიშაათი, და შენ გადათვალე და დაატიე, დაატი რიცხვთა საკრებულოში შენი ოთხმოცდაათი. ჩემი ათეულების ეიფელის ხუხულა — ისევ ენა მებმის და —

მემემეუხერხულა.

IV



სოფიო წულაია

ასი წლის წინ

ასი წლის წინ — როცა იყო ჩვენი ქორწილი, წყნარ ოკეანეს ხორცი ააჭრეს, მისგან კი კაბა შემიკერეს, ძალით ჩამაცვეს. ალაგ-ალაგ ოქროს თევზები დააბნიეს წყლიან ზედაპირს,

თავზე მარჯნებით და ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ გვირგვინს მადგამდნენ — არ ვისურვე — არ უხდება და არც სჭირდება-მეთქი სიყვარულს ეს გვირგვინი,

არც ეს კაბა არ მოუხდება — ერთმანეთის სხეულები ხომ დიდი ხნის წინ შევიცანით, ერთმანეთით გამოვკვებეთ და გამოვზარდეთ... არაფერია ახლა ჩვენ შორის ისეთი, რასაც ამ ტანსაცმელში გავახვევთ და

სადმე დავმალავთ... ისიც ვიცი, რომ ერთმანეთს აღარ ვჭირდებით... ასი წლის წინ ჩვენს ქორწილში ზარები რეკდნენ ზუსტად ისე,

როგორც გრიგალში ყუფენ ძაღლები; ათასი თვალი ასკდებოდა ჩვენს ერთად ყოფნას, ათასმა დარდმა ერთდროულად დაიწყო ლღვობა და სხეულებზე ბეტონივით შემოგვეჭდო მათი ქაცვები.

აღარ მინდოდა შენთან ყოფნა — მწვავედა ტკივილი, შენც არ გინდოდა, მაგრამ მაინც, მაინც დავთანხმდით ერთ ნიჟარაში შეძრომას და

იქ გამომწყვდევას ჩვენი სულების, ჩვენ გარშემო კი იბზარებოდნენ, მერე ტყდებოდნენ და ქრებოდნენ სქელი მინისგან გამოთლილი ცათამბჯენები. ასი წლის მერეც ყურში ჩამესმის ზარების ხმა,

იმ დღეს რომ რეკდნენ — ვერცხლისფერი დიდი ზარების; ტკივილებს თესდა ფილტვებში ღრმად შემდგარი წყალი და ვრცელდებოდა მთელ სხეულში მეტასტაზები.

ასი წლის წინ ჩვენს ჯვრისწერაზე მორიგეობით იღენებოდნენ ცისფერი მინის ქრიზანთემები, იღენებოდნენ გზები და მთები, ტბები, ტყეები... ასი წლის წინ ჩვენც დავიღვენეთ და

მას შემდეგ ველარ ვმთელდებით. ვფიქრობ, რომ ღირდა. შენც ასე ფიქრობ?... რომც არ ფიქრობდე, თქვი, რომ ღირდა და ქარი ჩადგება,

ჩალაგდებიან აბობოქრებულ და მოშხამულ სისხლში თევზები... რატომ შევძელით ერთმანეთში ისე შეღწევა, რომ ჩვენი დაშლა გამხდარიყო შესაძლებელი?... რაც დავანანვერდით, ეს ცხოვრება შენთვის

ბევრად მარტივი გახდა, ჩემთვის კი ბევრად შეუძლებელი. ფსიქოლოგიურ ტესტს უტარებენ ყველა პაციენტს, ვინც მიატოვეს: ზოგი ცხვარს ხედავს, ზოგი — ღამურას, ზოგიც კატას, თათს რომ ილოკავს...

დიდხანს ვუყურე ჩემ წინ გაშლილ უცნაურ ფორმებს — ვერაფერიც ვერ დავინახე... ჩვენც აღარ ვართ — დავიშალეთ, მერე ავორთქლდით,

ჩვენი დაფშვნილი ნარჩენები კი გარშემომყოფებს ისე შეერჭოთ, როგორც ეკლები. ასი წლის წინ — ზუსტად იმ დღეს,

როცა რეკდნენ ვერცხლისფერი მძიმე ზარები, ჩვენ ერთად მოკვდით...

V

არა სასმელი. კიდევ კარგი, არაყი მოვატანინეთ, თორემ შენ ამას არ მოჰყვებოდი-მეთქი, ვუთხარი მე. კი, შეკაცო, მოყოლა ხომ დანყებულნი მქონდა, მაგრამ შეიძლება, რამე გამომეტოვებინა... რაკი დავინწყე, მოგიყვები ალაღად, არაფერს დაგიმალავო.

— ერთი ხარაგოულელი გოგო იყო, ადრე დავდიოდი მასთან. ბოზი იყო რა, ერთი სიტყვით. მივადექი სახლში, პეკინზე ცხოვრობდა. მეგობრულად მიმიღო. დილის მატარებელს უნდა გავყვებოდა ხარაგაულში და ამაღამ შენ არ დამაძინებო. ჩადი ახლა და ნამცხვრები ამოიტანო. რა მენამცხვრებოდა, გასატესტად ვიყავი ასული. ჩავედი და სასმელიც ამოვაცოლე. ცოტა დალია და მოშლილდა, ზემოთ მარტო ლიფი დაიტოვა, ქვემოთ იუბკა ეცვა. ნამოდი, დავნვეთ, ხომ იცი, დილით ადრე ვარ ასადგომიო, მითხრა, და გავთავდი კაცი. აუ, ამასთან რომ ჩავფლავდე, ხომ მოსდებს ქვეყანას! გავყვი, დანოლამდე ლიფიკი გავუხსენი, ვეება ძუძუები ხელებში მოვიმწყვდიე და ზურგით მივიხუტე. დავილუპე, არ მაქვს ერექცია. დავნვეთო, მეხვეწება, მაგრამ რა დამანვენს... ცივად მოვშორდი, „რალაც გამახსენდა“, მივუგდე და დერეფნის კარი გამოვადე, მერე მოვალ-მეთქი და კიბეებზე დავეშვი.

რალა ბევრი გავაგრძელო და ამის მერე კიდევ სამი თვე ვიარე ფატისთან. არაერთხელ გამოვცადე ჩემი თავი, მთელი თბილისის ბოზობა შემოვიარე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ბოლო მომენტში ყველასგან „რალაც საქმის გამო“ გამოვბოდი. ამა-სობაში ამ ჩემს ფსიქოლოგს ისე შევეჩვიე, დიდი სიამოვნებით ვივლიდი მთელი ცხოვრება. ფატი გაგიჟებული იყო, მსგავსი რამ პრაქტიკაში მე არ მქონია, კოლეგებთან ვთქვი და ისინიც გაოცდნენო. რომ მოვკვდე, უნდა გამოვიყვანო ამ სტრესიდან, ან მივატოვებ მუშაობას ან გავაცოცხლებო. კიდევ ერთხელ ჩამოვასხით არაყი და ბოთლი დაიკალა. ერთი არაყიცო, გასძახა მიმტანს ბაგიმ, გვეყოფა-მეთქი, მაგრამ, რას ამბობ, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლიო... ქაშე მწვადი, რატომ არ ჭამო...

— მისმინე, ერთხელ, ფატიმ სამსახურში დამირეკა, დღეს საგარეჯოში მიწვევს ნასვლა და ექვსზე არ ვიქნები, არ მინდა სეანსი გამოგატოვებინო, ათ საათზე სახლში მოდიო და მისამართი მიკარნახა... ზუსტად ათ საათზე მივედი. კარზე ფრთხილად დავაკაკუნე, რატომღაც არ დავრეკე, დააკაკუნება ვარჩიე. კარი გაშიღო. დერეფანში შუქი არ ენთო. ზალიდან გამოდიოდა სინათლე. გრძელი დუბლიონკა ეცვა და ძალიან მაღალქუსლიანი ჩექმები. ალბათ ერთი ფეხით შემასწრო სახლში-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ დუბლიონკის სეზონი ნამდვილად არ იყო და გამიკვირდა. ფატის არაფერი უთქვამს. მომიკიდა ხელი და სანოლ ოთახში შემეყვანა. ცისფერი, მზუჭავი შუქის სიმყურდოვე იდგა. აქ დამელოდო და მიხედავანი კარი გაიხურა. ცოტა ხანში ზალაში შუქი ჩაქრო და სანოლ ოთახში ოდნავ მოიკლო ნათება. ჩექმების კაკუნის მესმოდა, ვიფიქრე, გამოიცვლის და შემოვა-მეთქი. სანოლზე ჩამოვჯექი, პროცედურისთვის მაინც აქ უნდა ნამოვწოლილიყავი, ტახტი აქ არ იდგა და არაფერი მსგავსი. კარი გაიღო და შემობრძანდა. დადგა ჩემ წინ, დუბლიონკა გაიხადა და სანოლზე მიაგდო. ნახევრადბნელში მარმარილოს-ნაირად კაშკაშებდა მისი შიშველი ტანი. ნამოვვარდი და მოვეხვიე. მოეშვა და მთლიანად დამენდო. ერთი სული მქონდა, ზედ დავკვდომოდი ამ მანათობელ ქანდაკებას და უცებ, ჩექმები გამხადეო, მითხრა, სანოლზე დაჯდა და ფეხები გამომიშვირა. ჩექმებს რომ ვხდიდი, ვგრძნობდი, როგორ ემატებოდა შუქი ოთახს... სასწრაფოდ გავიშვლდი და ფატის სიმზურვალესა და „მაყენუარის“ სურნელში ჩავიძირე... ვკოცნიდი უთავბოლოდ, უანგარიშოდ, უაზროდ... რა გამოცდილება მე მაშინ მქონდა, მაგრამ არც მანამდე და არც მერე, მსგავსი ველური ლტოლვა ქალისადმი არ მიგრძნია. თვითონაც წაღვერდალივით მწველი და თაკარა იყო, თავგანწირვით ეძლეოდა ალერსს, ვგრძნობდი, როგორ ზრუნავდა, უსასრულოდ და მარადიულად დარჩენილიყო ამ ერთი ღამის სიზმარეული აღმადგენა და სიყვარულის ეს უსამანო რიტუალი... მე კი უკვე ის მეფიქრებოდა, ხომ არ დამეკარგებოდა ფატი — შიშველი მახა, ფრანცისკო გოიას ეს ფეხადგმული შედეგო... მხოლოდ შუალამით, მეხ-



უთედ თუ მეექვსედ როცა შევეწყვილე მის გავარჯერებულ სხეულს, თავში გამიელვა, რომ ერექციაზე არც მიფიქრია...

ბაგიმ არაყი დაისხა — ეს ფატის გაუმარჯოს, იმ სასწაულ ქალსო!

— სადაა ახლა ის ქალი?

— არ ვიცი, იმ დღის მერე არ მინახავს. დილით გვიან გამეღვიძა. ფატი არ იყო. მაგიდაზე წერილი იდო, კარი გაიხურე და დაიკეტებო. მე სოფელში მივდივარ შეილთან და ჩამოსვლას არ ვაპირებ, რაიონში ვინცე მუშაობასო. არ მეძებო, მაფრთხილებდა. ეგ არ იყო სიყვარული და ამაზე არ იფიქრო, ეგ იყო ჩვეულებრივი სექსი, რომელიც ნებისმიერ ქალთან შეიძლება, გქონოდაო. ერთი სიტყვით, მაშინ დამემალა და მერე მართლა რაიონში წავიდა.

მე შენ გაჩვენებ იმ წერილს, სასოებით მაქვს შენახული. იქ ბევრი რამ წერია, მე ვერ მოვყვები, შენ უნდა წაიკითხო. ვერ წარმოიდგენ, როგორ მომეშვა გულზე, სულ მინდოდა, ეს ამბავი ვინმესთვის მომეყოლა და რა კარგად შემხვდი. მერე ცოლიც მოვიყვანე, ბავშვები უკვე დიდები არიან, ბედს არ ვუჩივი, მაგრამ ფატი არ მავინწყდება, იმ ღამეს თითქოს მეორედ დავიბადე...

— როდის მაჩვენებ წერილს? — ვკითხე, — ძალიან მაინტერესებს, აუცილებლად დავწერ შენზე და ფატიზე, ვიპოვი მე იმ ქალს!

შევთანხმდით, ხვალაც აქ მოვიდოდით და წერილსაც მოიტანდა.

„ბაგი, ყოველთვის მჯეროდა, რომ ჯანმრთელი იყავი და ზედმეტი ემოცია იყო შენი პრობლემა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, ბაშკუროვამ, ნუ მანვალეო, როცა გითხრა. არ უყვარდი შენ იმ ქალს და არც შენ გიყვარდა — სამი წელი ვდიო და ბოლოს ისიც არ იცოდი, რუსი იყო თუ ებრაელი. არ გენყინოს და არც მე მიყვარხარ... მე ეგ რომ არ გამეკეთებინა, შენ სამუდამოდ განადგურდებოდი. ეგ ბოლო საშველი იყო. რწმენა დაგიბრუნე. მეუღლის მერე შენ ჩემთვის პირველი იყავი და, ალბათ, უკანასკნელიც. არც შენ გიყვარებო, თავი არ მოიტყუო. მე ეს შენგან არ მიგრძნია. სექსის დროს ყველა შეყვარებულია. იცოდე, შენთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იყო, მუდამ პატივისცემით გავიხსენებ...“

წერილი საკმაოდ ვრცელი იყო და მთლიანად ადასტურებდა ამ საოცარი ქალის ადამიანურ ღირსებებს... მაინც შემეპარა ეჭვი, რომ ბაგის მიმართ გულგრილი არ იყო.

— ბაგი, ბაშკუროვასთან როგორ დამთავრდა, რა იყო მერე?

— მას არც დავლაპარაკებია, მისადმი ინტერესი დავკარგე. მართალი იყო ფატი. მერე სხვაგან გადავედი სამუშაოდ.

— და ფატი, ფატიზე რას იტყვი?

— ახლა, ამდენი წლის მერეც ძალიან მსიამოვნებს მასზე საუბარი... მიყვარდა? არ ვიცი, შენ გაარკვიე, შენთვის მომინდვია!

მეორე დღესვე მოვძებნე ის სექსოლოგი, ბაგის ჯანმრთელობის ცნობას რომ აძლევდა... შორიდან ვიცნობდი. მეც ერთი ექიმი მეგობარი მივიყოლე, კონიაკი ვიყიდეთ და ბინაზე ვენჯივით. მეც გიცნობ შორიდანო, მითხრა მასპინძელმა. სექსოლოგი ნებისმიერ ასაკში საჭიროა, რო იცოდეთო. მე ფატიზე ვკითხე.

— ოოო, დიდებულია ფატი, ვმეგობრობთ ჩვენ, არაჩვეულებრივი ფსიქოლოგია, თუმცა, რატომღაც, ადრე მიატოვა მუშაობა და რაიონში წავიდა.

— ახლა სადაა, ხომ ვერ მეტყვი?

— გეტყვი, ადრე საკონსულტაციო პუნქტში მუშაობდა, ახლადქორწინებულთათვის იყო რალაც ამგვარი, ახლა იქ კაფეა, ის კაფე მისია, შარშან იყიდა, ამ დღეებში უნდა გაეხსნა.

— როგორ, იმ კაფეს მეპატრონეა?

— გეტყვი, ადრე საკონსულტაციო პუნქტში მუშაობდა, ახლადქორწინებულთათვის იყო რალაც ამგვარი, ახლა იქ კაფეა, ის კაფე მისია, შარშან იყიდა, ამ დღეებში უნდა გაეხსნა.

გამოვემშვიდობე ექიმს. ახლა ისლა მინდოდა, ფატი მენახა.

ესხედვართ კაფეს მენჯერის ოთახში მე და ქალბატონი ფატი. მართალი იყო ბაგი. ძალიან მიზიდველი ქალია, სამოცდაათს გადაცილებული. კითხულობს ჩემს ნაწერს და უცებ მიეხიზება:

— ზუსტად ასე მოგიყვავთ ბაგიმ თუ თქვენ შეალამაზეთ, ბატონოჩემო?

— კი, რაც მითხრა, ის დავწერე, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, გავასაჯაროვო?

— არა, სახელებს შეცვლით, რასაკვირველია!

— რალაც მინდა, გკითხოთ და არ მიწყინოთ, ძალიან გთხოვთ!

— ბრძანეთ.

— თქვენ გიყვარდათ ბაგი? წერილი კი... მაგრამ მაინც გეკითხებით!

ფატი გაჩუმდა, დუმილი კარგა ხანს გრძელდა.

— მწერლები სულში უნდა ჩაუძვრეთ ადამიანს... გულახდილად გეტყვით, ბაგი მე არ მიყვარდა. ის ღამე რომ არა, სამუდამოდ დაილუპებოდა ახალგაზრდა კაცი. ის ისევე ქალს უნდა გადაერჩინა, ფსიქოლოგს კი არა, ქალს, რომელთანაც სექსზე ის წინასწარ არ იფიქრებდა და მე ეს გავაკეთე. ვიცოდი, ბაგი მერე არ მომეშვებოდა, ამიტომაც დავეკარგე. არაფერს ვნანობ, არც სამსახურიდან წამოსვლას. ისიც მჯეროდა, რომ ჩვენს საიდუმლოს ბოლო-ბოლო ვილაცას გაუმხელდა და ესეც ბუნებრივად მიმართა. სიმართლე ესაა და თქვენ როგორც გნებავთ, ისე დანერეთ.

— ბაგი მერე მართლა არ გინახავთ?

— არა!

— ახლა რომ ნახოთ?

— ახლა? ახლა რა აზრი აქვს!


— გნებავთ, ერთი საიდუმლო გაგიმხილოთ?


— რა საიდუმლო?

— ბაგის უყვარდით და ახლაც უყვარხართ!

ფატის ცრემლი ჩამოუგორდა, არ ვიცი, სინანულის ცრემლი იყო თუ სიხარულის... სიყვარულიც, ნებისმიერ ასაკში, ხომ ცრემლიანია...

VI





ვახტანგ ჯავახიძე

კილიკური ლაპაპი

კილიკია, კილიკია, უცნაური ქილიკია: მოგვანოდა ღარიბული — მზეზე გამომცხვარი პური. არც სახლი და არც ოფისი გახლავთ ნუთისოფელი: პური ჩვენი არსობისა და მზე პურისმცხობელი.

ახალი ანათომია

თუკი გუშინ ინყებოდა ხერხემლიდან, დღეს ენა აქვს შვიდეულზე მოპირული: თავი, ტანი, ხელები და ფეხები და მობილური.

თვითმკვლელები

ორივეს ჰქონდა ტახიკარდია სექსისთვის მაინც თავს იკლავდიან.

1783 წლის 24 ივლისი

გეორგიევსკის სანახებს მთვარე ეფინა ქათქათა, როდესაც ხელშეკრულებამ ცხოვრება გაგვიტრაქტატა.

მაიაკოვსკი ორჯერ

I თავის სუფრაზე მიმინვია, ბალდათი ჩვენი პოლისია. მიცავდა ჩემი მილიცია და მიცავს ჩემი პოლიცია.

II ზარი ბევრჯერ ჩამორეკა ობერტონის კლავიშით, დაუმალა ამერიკამ ინკოგნიტო ქალიშვილი. ამერიკის ადრესია კომიკოსი — ტრაგიკოსი და ვერ შეძლო პატრიციაშადარჩენა მამიკოსი.

გულშემატკივარი

მიყვარს ტყეების შრიალი, მიყვარს ურმების ჭრიალი, ზანზალაკების წკრიალი, ჭიაკოკონას ბრიალი, მიყვარს ყანების ტრიალი, მიყვარს ტაშების გრიალი, მიყვარს დროშების ფრიალი, გმირების მემორიალი, სასტუმრო „იმპერიალი“, არენა და არეალი და როგორც რითმა მაძალებს — მიყვარს მადრიდის „რეალი“.

გამახსენდა: კალამზე ძვირი ღირდა მელანი, გამახსენდა კალამი და მილანის „მილანი“.



გაბრკალება

პასპორტს ამართლებს მეტრიკა, მომწონს სიზუსტე მათი და ჩემი არითმეტიკა — ასს გამოვაკლოთ ათი. გრძელდება ურთიერთობა დღეთა და ღამეთანი, მაპატივეთ, ღმერთებო, ეს ჩემი ნამეტანი.

გალაკტიონის მოტივი

საკუთარ ლექსებს ვციტირებ, თუ არ მომისმენთ, ვიტყვებ, მონყალე თვალთ შეხედეთ ჩემი წიგნების ვიტრინებს. ჰარმონიათა ტრიადა არასდროს არ დამითმია, არ მიყვარს არითმია და ძალიან მიყვარს რითმია. მიყვარს ტევერი და ზეტევერი და ლურჯა, თუკი ცხენია, რითმებო — თუნდაც შედევერი — უთქვენოდ მოსანყენია.

ჰემატოლოგ მედიკოსთა ნეო-კათედრებმა ვერლიბრისტებს დაუდგინეს ლექსის გათეთრება.

პარღები

უხერხულია ვარდთან სილოსი და ხერხულია ვარდი სილაში, დახერხილია ვაჟას წიფელი და გვედავება ვარდებს შირაზი. ამოუნურათ ვარდებს ვადები და განვადების შეღავათები. აქ რუსთაველი სხვა ლაჟვარდია და ჩვენც კარგახანს გვინავარდია, თეიმურაზთა ძველი გვარდია გვაძალებს, მაგრამ რა დროს ვარდია?

მხატვარი

წალილინა „ნადური“ და ლომი დახატა ნატურიდან. დაიქირავა პატრული და ვეფხვიც დახატა ნატურიდან. დახატა სამი ზანგი და ავტოპორტრეტი სარკიდან. გადათვალა ოცი უბოროტო და მეცამეტე გადახატა ფოტოდან. ჩამოჰქონდა პეიზაჟი ურეკიდან და შავი ზღვის პატრიოტებს ურეკავდა.

ცოტა ისესხა მანე-მონედან და საკუთარი მოჭრა მონეტა. კარგახანს ვაქეთ იგი და ხატავდა აქეთ-იქიდან. ამ ჭიქით და ამ ეთიკით — გაგიმარჯოთ აქეთ-იქით!

ნადი!

მათი პო და მათი შელი — თუ არ მოგწონს, ნადი, შენი!..
ადიში და ადიშელი — თუ არ გახსოვს, ნადი, შენი!..
ათი ნუკრის ათი შველი — თუ არ გიყვარს, ნადი, შენი!..
საჯიშე და საჯიშენი გათიშე და ნადი, შენი!..
ვინც სასახლეს აგიშენებს, ნუ აკადრებს ნადიშენებს!

ჩაი

გაჩაღდა დავა: ჩაი თუ ყავა? გარეთ კი ჩაის ვარდები ყავა და ჩაი-კოვსკიმ ჩაი-ლილინა, ჩაი-არა და ჩაი-ლიკანა. მატარებელში მოგვართვეს ჩაი და, თუკი ჩაი არ გიყვარს, ჩაი! შენ კი — ჩაის და მურაბის გამო — ამო!

ქუჩის მეზობლები

ასათიანზე ცხოვრობს ზურაბაშვილის მრევლი, გისოსებს აპროტესტებს გამეტებული ცრემლი, რომლებსაც არამ ლუკმას ვერავინ დაამადლის, უმრავლესობა ადგენს უმცირესობის ადგილს, რომელთა მოლოდინიც სამარადისოდ გასტანს: უვადო სასჯელს იხდის გამეტებული კასტა და ქვეცნობიერს ჩვენსას აღიარება უჭირს, გვყავს მეზობლები კარის და მეზობლები ქუჩის და ფანჯრებიდან მოჩანს შორიდან უექსცესო უამისიტო ზონა ანუ ნაკრძალი ეზო. მეც, ვისაც მეტირება ნაკრძალი პეიზაჟი, ასათიანზე ვცხოვრობ, ოღონდ — საკუთარ სახლში.

ღოჩანაშვილის მოტივი

არც ბუხარი დანთებული, არც ტერცინა დანტებული. მივაბიჯებ გურამით ჩამოლაბორანტებული.

აჯიკა

მოგესალმებით, ინტიმურებო, ტკბილია თქვენი ინტიმურობა, მაგრამ ხანდახან მოგვენატრება აჯიკა ანუ ანტიმურაბა. ერთხელ ქუხილმა ისე იჭყქა, სამეფო კვერცხი გამოიჩეკა, მერე მონახა რითმამ აჯიკა და არჩილ მეფე ანუ აჩიკო.



ოპი მოკლული ჟურნალისტი

სულ არ მინდოდა, ომზე მეწერა და არც გმირობა მქონდა გეგმაში, ახლა კი როცა ომში მოკლული ჟურნალისტი ვარ, ყველა ამბავმა, რაც კი აქამდე თავს გადაამხდა, სულ სხვა დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა. დღეიდან უკვე ომში მოკლული ჟურნალისტი ვარ და ჩემზე ყველამ ზეპირად იცის, რომ გრძელი თმები და ჭორფლიანი სახე მქონდა. ომში რომ კვდები, ყველასთვის უცებ ცნობილი ხდები, არადა, როცა ერთ-ერთ გაზეთში ვმუშაობდი, ჩემი სახელი ხალხს არაფერს ეუბნებოდა... ათი წელი მარტო იმაზე ვწერდი სტატიებს, როგორ უნდა ვიკვებოთ სწორად, ნონაში რომ არ მოვიმატოთ, კიდევ იმაზე, რომ ფიზიკური აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტიაა... მერე კი ომი დაიწყო და ყველამ, ვისაც კი მასზე ოდესმე რამე დაუწერია და მათაც, ვისაც არც ჩვენს და, მითუმეტეს, არც სხვების ომზე არასდროს დაგვიწერია, გადავწყვიტეთ, ცხელ წერტილებში გვეცადა ბედი... არ მინდოდა ომზე მეწერა, რადგან მეგონა, ჩემი ომი — ბავშვობაში რომ გამოვიარე, მერე კი თავი ძლივს დავაღწიე და ჩემს წარსულში ღრმად ჩავმარხე, ალესილი რქებით და ცეცხლისმფრქვეველი ენით შეიარაღებული, ჩემი და ჩემი ახლობლების გადასასანსლად კიდევ ერთხელ დაიძრებოდა... და მართლაც, ომი, რომელიც ძლივს გადავაგორე, ჩემი სივრცეიდან ძლივს გავაქრე, ზედ კი ყველა მძიმე ფიქრი, მძიმე დარდი და ტკივილი გადავაფარე, მაშინვე აღდგა საფლავიდან, როგორც კი მასზე წერა დავიწყე, ყველაფერი, რაც ზედ ეყარა — მთელი ცხოვრება რომ ვაყარე დაუზარლად, სულ ერთ წამში გადაიფერთხა და მოსაკლავად გამოგვიდგა. მინისფერი ხალათი ეცვა და გზას, რომელიც უნდა გაველო, კუდით და რქებით, გრძელი ბრწყინებით თუ კლანჭებით, ფეხზე მიბმული დაჟანგული რკინის გუთნით თხრიდა და თხრიდა... შორს გასროლილი მინის ღორღი სახეს და თვალებს ისე სერავდა, როგორც ტყვიები — უმისამართოდ, მაგრამ მაინც ჩვენკენ ნასროლი... მინის ბელტები იმ ადგილებზე გვაჭყლიტავდა, სადაც ვიდექით — გზებზე, სახლებში, აივანზე, ლოგინებში, მანქანებსა თუ პურის რიგებში. როცა დავგვომბე, ყურში ჩამსკდარმა ხმაურმა მითხრა, უფრო სწორად კი, მიღრიალა, რომ დავმთავრდი, რომ აღარა ვარ, მეც ავდექი და დასერილ სახეს მკვდარი თვალები ჩამოვაფარე, პირში ჩამდგარი სისხლის გემო კი ბოლო ლუკმად გავიყოლე... ჩემგან დარჩა წითური თმები, ყველას ეკრანზე რომ აფეთქდა და სტატიები, სადაც ვწერდი: რომ სწორი კვება სიცოცხლეს ახანგრძლივებს, რომ ვარჯიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს, რომ ცურვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს, რომ მოწვევა და ალკოჰოლი სიცოცხლეს ამოკლებს... — ომი არის კანიბალიზმი და ისე ღეჭავს ჩვენს უკვდავ სულს და მოკვდავ სხეულს, როგორც სტაფილოს ან კარტოფილს — მეფიქრებოდა უკვე გარდაცვლილს... მე კი მის წამდვილ, შემზარავ სახეს ვრცელი სტატია ვერ მივუძღვენი — ძალიან ვწუხვარ...

სიყვარული და მაცნობარი

როცა იცლება ჩვენი სახლი სიყვარულისგან, პარალელურად ჩვენც ვიცვლებით: ამ დროს სიცოცხლე ძუაზე ასხმულ იაფფასიან მძივივით წყდება და ძირს ვიბნევით შაქარივით, ბრინჯივით ან ხსნად ყავასავით,

იატაკზე მიმოფანტულნი ტერფებზე ვეკვრით ერთმანეთის უმნიშვარ ფიქრებს — თავქარიანს, გამძვინვარებულს, გრძელს, უმიზეზოს... მდოგვსა და პურზე გადავაგორებთ ავბედით დღეებს, ფაქტობრივად, შიმშილს ვუსჯით საკუთარ სხეულს, ერთმანეთი რომ გამოვკვებოთ, ნამცეც-ნამცეც მოვაგროვოთ გაბნეული ჩვენი სულები, მომავლისთვის გადავინახოთ, უფრო სწორად კი, გადავარჩინოთ... არ ჩავთვალოთ, თითქოს მთავარი ათასი ქილით, ათასი პარკით, ცხიმიან ხორციტ, ყველით და კვერცხით, ათასი კერძით გადაძევილი, გადამსკდარი, ბაგაბუგისგან გულგამსკდარი, ხრიგინისაგან ხმაჩამწყდარი მაცივარია... ჩვენ გარშემო ბევრი შიმშილობს — პურსაც ვერ ყოფენ ისე თანაბრად, რომ შიმშილი როგორღაც მოკლან, გაატყაონ, დაამაროლონ... შეჭამადები მოამზადონ და ისადილონ... ერთხელ მაინც დაიძინონ დარდის გარეშე — ხვალ რა ვაჭამოთ ჩვენს პატარებს, მოხუც მშობლებს, თავად რა ვჭამოთ... ყველა შიმშილობს, ყველა იბრძვის, ჩვენ კი ასეთი ოცნება თუ სურვილი დავგრჩა — ერთმანეთისთვის ჯერ ვერ ნათქვამი, ვერ გამხელილი, ბანალური და უდღეური, მაგრამ საჭირო: პატარა სახლი სადმე ტყის პირას, ცოტა მეტი დრო ერთმანეთთან საურთიერთოდ, ნაკლები ტვირთი, თბილ სახლში ჯდომა, საყვარელი ფილმების ნახვა თითქმის ყოველ დღე, ერთად ჩათვლება საყვარელ ტახტზე — ზედაპირი რომ აქერცლილი აქვს... კიდევ რა გვინდა? გვჯეროდეს, რომ არ სრულდება სიყვარული მაშინაც, როცა ჩვენი სულები ათასი პარკით, ათასი სესხით, ათასი დარდით, მარტოობით და უიმედობით, ლალატიითა და ერთგულებით, მონატრებით და ერთმანეთით გაძევილი გვაქვს.

წერილი ვისლავა შიმპოროსკას

„შეიყვარე განსაცდელეები, მათ გარეშე ეს ცხოვრება არაფერია,“ — მითხრა მღვდელმა იმ ქვეყნის მშობლიურ ენაზე, ჩემი სამშობლოს ოცი პროცენტი რომ დაიპყრო, გამოგვტაცა, მიიტაცა, მიისაკუთრა, მავთულხლართებით შემოგვსაზღვრა, სიცოცხლე და მომავალი კი ტყვიით შუაზე გადაგვიგლიჯა... ეს მაშინ მოხდა, შენს სამშობლოში პირველად რომ ვიმოგზაურე — ჩვენი ქვეყნის დამპყრობლის მშობლიურ ენაზე მოსაუბრე მღვდელიც შენი ქვეყნის შვილი იყო... მას არ უთქვამს: — გიყვარდეს მტრები ან ახლობლები — თქვა, ტკივილები შეიყვარე... შენს სამშობლოში ძალიან ბევრი ტაძარია, იმის მოძებნას, რომელზეც ახლა ვცდილობ, მოგიყვებ, სულ ორი კვირა მოვანდომე — შემოვიარე შენი ქალაქის ყველა ქუჩა, კუთხე-კუნჭული... ჯერ ფრანცისკანულ ტაძარში მოხვდი, მერე კი თქვენი დიდი წმინდანის, იოანე პავლე მეორის სახეზე ნაკურთხ უზარმაზარ გოტიკურ სტილში გადამწყვეტილ შენობაში შევაბოტე გზაბნეულმა... სიძველისა და მარტოობის სურნელი დამხვდა — სინესტისა და დარდის სუნთან შეზავებული... სურვილი ლოცვის სულაც არ მჭირდა, შესანიერ ყუთში ზლოტი ჩავაგდე, ფიქრებიდან კი 30 ვერცხლმა გაჟონა, ჩემი სანთელიც წამში აინთო... ლოცვამ დამტოვა — ვერ ვილოცე. ზოგადად ლოცვა ძალიან მიჭირს, სიყვარულზე მეტადაც კი — სიყვარული ყოველთვის უკეთ გამომდიოდა, ახლა არც ერთი აღარ გამომდის... თითქოს, ვიღაცა იქვე იყო — სიცარიელით და მარტოობით გაჟღენთილ სულს უბერავდა სანთელ-ნათურას... მასთან ერთად კი ჩემს სხეულში არაფერი აღარ ჩაქრა — არც ტკივილი, არც მარტოობა, არც სამშობლო... — ღმერთო, დააცხრე ჩემი სულის შფოთვა და ფორიაქი — ვიმეორე და ვიმეორე, ალბათ, ათასჯერ, ან იქნებ სულაც მილიონჯერ ან მილიარდჯერ გავიმეორე... მერე ვიპოვე, რასაც ვეძებდი — ფერად სახლებში ჩაკარგული ორთოდოქსული ძველი ტაძარი — განსაცდელეების შეყვარებაზე სწორედ იქ მითხრეს... შენ შენს კაცებზე არასოდეს დაგინერია, გერჩივნა, დარდზე, წინაპრებზე ან შენს დაზე დაგინერა ვრცელი ლექსები — დაზე, რომელსაც პოეზიის არაფერი გაეგებოდა, შენს ჩანთაში ჩაჩურთულ ლექსებს არაფრად თვლიდა — ვერ იგებდა და არც ცდილობდა... სულზე წერდი და ამბობდი, რომ როცა კონსერვის ქილის გახსნას ვაპირებთ, ჩვენი სული ჩვენგან გარბის — შევებულებაში მიიპარება... იცი, მე სულზე არასოდეს დამინერია, ალბათ, ვერც დავნერ — ძალიან ვუფრთხი ამ სიტყვის სადმე გამოყენებას, პათეტიკურად რომ არ აღიქვან... ისე ვუფრთხი, ზოგჯერ არც მჯერა, რომ მაქვს და მტკიცა, ზოგჯერ თავის და თვალების გარდა აღარაფერიც აღარ მტკიცა, ღმერთს კი მაინც ვთხოვ: — ღმერთო, დააცხრე ჩემი სულის ფეთქვა, შფოთი და ფორიაქი... ზოგჯერ კი შენზე მეფიქრებ... იცი, ყველაზე მეტად რა მიკვირს? როგორ გაჩნდა ასეთ მომაკვდავ, ჩამქრალ სივრცეში — სიცარიელის და მარტოობის მფრქვეველ დრაკონს რომ მოგვაგონებს — შენისთანა იდუმალი, გულწრფელი სული... იქ როგორ გაჩნდი, სადაც გაჩნდი, როგორ ეძებდი მნიშვნელობებს ცარიელი სიტყვების მიღმა და შენი ჩუმი და მაინც ძალიან ხმამაღალი სიტყვების შფოთით როგორ შექმელი ასე ლამაზად დაბერება... დაბერება საერთოდ როგორ მოახერხე?..

დილით ნუცუბიძის ქუჩიდან პავლო-
ვზე ფეხით დავეძვი. იმ დღეს სამსახურს
ვაცდენდი, მცხეთაში მეგობრის აგარაკზე
მივიდიდი საქეიფოდა.

ახალგაზრდა ვარ. ოცდაორი წლის.
გზად მიმავალმა გულის არეში ჭვალვი
ვიგრძენი. სიგარეტს უაზროდ ვენეოდი და
ასეთი რამ ხშირად მემართებოდა. არც ახ-
ლა მივაქციე ყურადღება, მაგრამ არ მო-
მეშვა — შვეისუნთქავდი ღრმად და სუნთ-
ქვის პიკზე საკმაოდ უსიამოვნო ჩხვლეტ-
ებს ვგრძნობდი. ვიფიქრე, შევალ პოლიკ-
ლინიკაში, გზა მაინც იქეთ მდომს, ვნახავ
ექიმს, რა იცი, სადაა ემმაკი ჩასაფრებუ-
ლი-მეთქი.

მიმღებში დამარეგისტრირეს, ექიმი
ათუ მოვარო, მითხრეს. მოვიდა ჩემზე, ასე,
სამი-ოთხი წლით უფროსი გოგონა, მოზრ-
დადით და კაბინეტში შემოიღო. დამანვი-
ნა და კარდინოგრაფა გადამიღო. მერე ატრ-
იალა ხელში წაღმა-უქულმა ეს ზიგზაგებ-
მიჩხაპნილი ლენტის...

— მარტო ხარ?
— კი, მარტო ვარ.
— ფეხით მოხვედი?
— კი.
— აუ, შენი მოძრაობა როგორ შეიძლე-
ბა, კარდიოლოგის ცენტრში უნდა გაგნე-
რო, სასწრაფო დახმარების მანქანა გადა-
გიყვანს!

წამიყვანეს. გარბის ეს დაწვრილი
„ერაზი“ ნივილ-კივილით და მიხეთქავს
ისედაც შენუხებულ გულს.

სავადმყოფოში ინფარქტის გან-
ყოფილებაში დამანვივნეს. ოთახში თეთრ-
ალათიანი ქალბატონი შემოვიდა. ახლა
ელექტროკარდიოგრაფის გადაგიღებენ
და გაგსინჯავთ, მითხრა.

მე ენაგადაყლაპული მივაშტერდი ქა-
ლს. თეთრი, ქათქათა პირისაზე ჰქონდა და
საოცრად გლუვი, პრილა სახის კანი, დამ-
აბრმავე თვალისმომჩურელმა დეკოლტემ
და წამით სულ დამავინყდა, რატომ მომიყ-
ვანეს აქ. გასვლისას თვალი გავაყოლე, მე-
რე წამოვხტე და, დერეფანში მიმავალი მზ-
ერით გავაცილეთ.

— მოგეწონა? — მკითხა თანაპალატე-
ლმა, ასე 70 წლის კაცმა, — ეგ თათია ბერუ-
ლავაა, განყოფილების უფროსი, ქალი კი
არა ანგელოზია, ექიმიც მაგარია, საიქი-
ოდან მომპარუნა. გაუთხოვარია, მარა შენ-
თვის ბებერია, ზუსტად ვიცი, ოცდათ-
ვრამეტი წლისაა, შენ რა ხნის ხარ, ბაბუა?
— ოცდაორის!
— რა გჭირს ბაბუ, ასე ახალგაზრდას?
— გული მტკივა, ამ დილით ამტკივდა!
— უხალისოდ ვუპასუხე.

ოთახში ექთანმა პატარა მაგიდით კარ-
დიოგრაფის გადასაღები აპარატი შემოაგ-
ორა. დანექი, მითხრა, შემიერთა სხვადა-
სხვა ფერის სადენები და ჩართო კარდიო-
დიაგნოსტიკის მაშინდელი ერთადერთი
და შეუცვლელი ტექნიკური საშუალება.
დაამთავრა გადაღება და გამომიყვიო, მი-
თხრა, განყოფილების უფროსთან შეგიყ-
ვან, ისე, მგონი, არაფერი გჭირსო. ჯერ თე-
რთონ შევიდა, ცოტა ხანში გამოპრუნდა და
შეგრძნობი, მითხრა.

შევედი. ის ქალი იყო. მოდი, მოდი, ახლა
სწორედ შენს კარდიოგრაფას ვშიფრა, რა
გჭირს, მითხარი ერთი, თუ კაცი ხარო.

ისე შინაურულად მომმართა, შევბა ვი-
გრძენი.

— დილით ჩხვლეტები მქონდა, ახლა კი
გამიარა, მაგრამ პოლიკლინიკაში შემამი-
ნეს.

— კარგი, წამოწექი, ზედა ტანსაცმე-
ლი გაიხადე.
დავწექი. სკამი მოიწოჩა.

ექიმი ჩემკენ დაიხარა, ფონენდოსკოპი
გულზე დამადო და თვალები დახუჭა. ლა-
მის გონება დავკარგე — თვალდახუჭული
ქალმერთს ჰგავდა... ღმერთო, ნეტა არ
გაახილოს, დამატკებ ამ მშვენიერებით...
თან მნუსხავს და თან თავზარს მცემს ეს
მინიერი ანგელოზი... მისი მონოტონური
სუნთქვა მესმის... წამში ათასწილი გაქანე-
ბა მიეცა ჩემს ფანტაზიას... გულის მხარეს
სიმძიმე ვიგრძენი, თითქოს გირეზი დასე-
ვა, მოხრილი მარცხენა ხელი მკერდზე მი-
ვიხლტე, ასე მგონა, გულს ვაკავებდი —
ხელის მოშორება და გულის ამოვარდნა
ერთი იქნებოდა.

თვალები გაახილა.
— აბა, წამოჯექი!
ახლა წამომჯდარს დამადო მემბრანა
და თვალები ისევ დახუჭა.
ვაკოცებ, გავიფიქრე, თავს ვერ ვიკავებ,

უკვე არ შემოიძლია, მშვიდად ვუყურო სრუ-
ლყოფილების ამ დღესასწაულს...
— წამოდექი!
თვითონაც წამოდედა, მარჯვენა ხელით
ზურგზე გადამწვდა და ახლა ბეჭის ქვე-
მოდ ვიგრძენი ფონენდოსკოპის სიგრძელე.
მკერდის ბროლიმა ამომანათა. თვალები
ისევ დახუჭა და გაირიდა. ოფლი მასხამს,
გულის ბაგაბუვი ამკარად მესმის, ნაიქი-
ცივი ახლა...
— გული აგიჩქარდა, ხშირად გემართე-
ბა ხოლმე?
კიდევ კარგი, გამომაფხიზლა... რა გინ-
და, უპასუხო, შენი დახუჭული თვალების
გამოა-მეთქი, ხომ ვერ ვეტყვი...
— კი, ხშირად, საშიშია?



— არა, ეგ ჩვეულებრივი, ემოციური
სტრესია... ვერავითარ პათოლოგიას მე
ვერ ვპოულობ, ტყუილად მოგიყვანეს აქ...
დღეს პარასკევია, ორშაბათს ანალიზებს
ვნახავ და სამშაბათისთვის, ალბათ, გაგ-
ნერ.

მთელი შაბათ-კვირა მასზე ვფიქრობდი.
მომეგონებოდა თუ არა მისი დასუჭული
თვალები, ტყვიასავით დამიმძიმებოდა
გული და წონასწორობას ვკარგავდი. ერ-
თადერთი, მკერდზე მარცხენა ხელის მიდ-
ებით ვგრძნობდი მოჩვენებით შევებას... ჩა-
ვთვლემდი და იმ ვარდის ფურცელივით
თხელსა და სურნელოვან ქუთუთოებს ვკ-
ოცნიდი, გამედვიძებოდა და სიზმარი მე-
ნანებოდა...

დავიჯერო, თქვესმეტი წლით უფროსი
ქალი ერთ საათში შემეყვარდა? ან იმ დალ-
ოცილს რა თვალბუნებობა აუტყდა, თვა-
ლილული ვერ მომისმენდა? ან დახუჭუ-
ლი თვალის მისე დასახამს, რომელმა
ერთმა გამაგიჟა და დამამძიმა, რა ჯადო
აქვს მაინცდამაინც ამ ქალის მინაბულ თე-
ალებს, ვერაფრით რომ ვერ დავაღნიე თა-
ვი? რა არის ეს, სიყვარული, თუ ინსტინქ-
ტური ლტოლვა კარგი ქალისადმი? ან იქ-
ნებ იმ თვალების დახუჭვამ, როგორც მო-
სალოდნელი ვნების ფარულმა გამოწვე-
ვამ, გადამრია? ვერაფერს მივხვდი!

ორშაბათს, პალატის ექიმმა, ანალიზე-
ბი კარგი გაქვსო და ხვალ გაგნერეთო. მოგ-
ეკალი, და გაწერა არ მიმდოდა.
— განყოფილების გამგე დღეს არ გამ-
სინჯავს?
— არა, დღეს არ იქნება, კათედრაზეა
დღეს.
— ხვალ, ხვალ იქნება?
— ხვალ კი, მაგრამ ხომ გითხრა, არა-
ფერი გჭირსო, ნევროზულია შენი ავადმე-
ოფობა, არაა ეგ დაავადება!
— როგორ არ მჭირს, ხელს ვერ ვიშო-
რებ გულიდან, სამკურნალო ვარ, — ვუთხ-
არი გულმოსულმა.
— კარგი, ვეტყვი უფროსს და კიდევ გა-
გსინჯავს!
ორშაბათი ისევ ფიქრებსა და ოცნებებ-
ში გავატარე. პალატაში მარტო დავრჩი,
ჩემი მეზობელი განერეს.
სამშაბათს დილით მოვწერე დღი და
ერთი სული მქონდა, როდის დამიდახებდა
თათია ექიმი. შუადღით, მოულოდნელად,

თვითონ შემოვიდა პალატაში. შინდისფერი
კაბა ეცვა. მალე ქუსლებზე იდგა. კაბაზე
თეთრი ხალათი ჰქონდა შემოცმული.
— შენ დღეს გაენერები!
— ექიმო, გთხოვთ, კიდევ გამსინჯეთ,
ეს სიმძიმე არ მშორდება, მარცხენა ხელი
პრაქტიკულად გაუქმებული მაქვს, მკერ-
დიდან ვერ ვიშორებ, გული მიჭირავს ამ
ხელით!
თათიამ გაიცინა და, კარგი, გაიხადეო.
არ დანვქე, იდექიო. დამადო გულზე მოსას-
მენი და დახუჭა თვალები. გამაჭრჭოლა.
ახლა მოვხვევ ხელებს და ავითაცებ, ან წა-
მივა გული და დავეცემი!
ჩემდაუნებურად ხელები გავშალე...
— შებრუნდი!

ფიქრი გამიწყდა. შევბრუნდი. შემთხე-
ვით მკერდზე ოდნავ გავიხაჩხე, არ ვიცი,
მე ვერ მოვზომე და არ ვიცი, მან გადმოდგა
ჩემკენ ნაბიჯი... ასე იყო, თუ ისე, ექიმმა
სამოცი წვეთი კორვალოლი დაგინიშნათო,
მითხრა შემოსულმა ექთანმა და პატარა
ჭიქა მომანოდა...

გამონერიდან ერთი კვირა გავძელი.
ულმერთოდ მენატრებოდა თათია.
დავადგინე ბინაზე ავადმყოფთა მილე-
ბის გრაფიკი. ორჯერ მივედი და მესვლა
ვერ გავხვედი, უკან გამოვიძრინე...
კვირა დღე იყო ვიციდი, მიღება არ ჰქ-
ონდა და, წესით, შინ უნდა ყოფილიყო. მარ-
ტო ცხოვრობდა ბარნოვზე, რაღაც ორი-
ნაწილი პარკეტის ბინაში.
დილით ვარდები ვიყიდე, ვახსენე ღმე-
რთი და ასე, თორმეტი საათისთვის, ზარი
დავრეკე. არ უკითხავს, ვინ ხარო, კარი ჯა-
ჭზე გაალო და გამოიხედა.
— მე ვარ, თათია ექიმო!
— შენ... კიდევ ავად ხარ?
კარი ბოლომდე გაალო.
— დიახ, ისევ მაქვს სიმძიმე გულის მხა-
რეს!
— დღეს მიღება არ მაქვს!
— ჰო, მაგრამ ძალიან ცუდად ვარ!
— ძალიან ცუდად მყოფ კაცს ვარდები-
სთვის არ ცხელა, კარგი, შემოდი.
ვარდები გამომართვა და მაგიდაზე,
ლარნაკში ჩაანყო. პრილა ხალათი ეცვა,
ულილებო, მხოლოდ ქამრით შემოჭერილი.
ლიფი არ ეკეთა, იმწუთას მომხვდა თვალ-
ში ასხმარტალეული ძუძუები. სხვას, ალბ-
ათ, ასე შილიფად ჩაცმული, კარს არ გაუ-
ღებდა, მაგრამ მე, ეტყობა, ბავშვად ჩამთე-
ალა და მოსაწესრიგებლად თავი არ შეინუ-
ხა.
— დაჯექი, მომიყვივი, აბა, რა გჭირს?
— სიმძიმე მაქვს გულზე...
— რას ამოიჩემე ეს სიმძიმე, ეს დაავა-
დება კი არა, ემოციაა, სანამ ამას არ დაი-
ჯერებ, არ მოგშორდება.
— გულზე მომისმინეთ, გთხოვთ!
— ცოლი გყავს? — მოულოდნელად
მკითხა.
— არა.
— შეყვარებული?
— არც შეყვარებული!
— ბიჭო, წადი, ვინმე შეიყვარე, რა სულ
ავადმყოფობაზე ფიქრობ, არ გცხვენია?

გამიკვირდა. სამსახურში ბევრად ოფი-
ციალური მერევე, შინ კი საკმაოდ უშუა-
ლო ჩანდა.
— გამსინჯეთ, რა, თათია ექიმო!
— კარგი, გაიხადე ზემოთ.
გავიდა. ფონენდოსკოპი მოიტანა, გუ-
ლზე მომადო და თვალები დახუჭა.
შევეცქეროდი ამ ღვთაებას თუ ფეხად-
გმულ ფერისა... მინიერ ქალს ვერ ვამსგავ-
სებდი, ვერ ვიმეტებდი... არადა, საალერ-
სოდ იყო გაჩენილი... ნეტავი იმას, ვინც ამ
ქუთუთოებს დაუყოცნიდა, ნეტავი იმას,
ვინც ამ მკერდის სიმკვრივესა და სიტკობს
შეიგრძნობდა...
შევეცქეროდი და მტკიოდა გული.
თვალები გაახილა.
— რა გითხრა, ჯანმრთელი და ძლიერი
ხარ! ანუ მოხვალ ჩემთან!
— ჯანმრთელი კი ვარ, ექიმო, მაგრამ
გული მტკივა, კიდევ თუ არ მოვედი, მოვკ-
ვდები!
— იცი, რას გეტყვი? ჩემთან თუ ივლი,
ეგ გული სულ გეტკივება, მოუფრთხილდი,
ცოდვას, ნუ გაანვალებ!
უსიტყვოდ წამოვედი.
თათია მერე არ მინახავს.

თორმეტი წლის წინ, მაშინ ორმოცდა-
თექვსმეტი წლისა ვიყავი, გულის ოპერა-
ცია გავიკეთე. რუანიმაციის ბლოკში ვინე-
ქი ათასწილი შლანგებსა და სადენებში გახ-
ლართული. თავთან კომპიუტერული დან-
ადგარები სასიცოცხლო პარამეტრებს აკ-
ონტროლებდა. მწყუროდა, მწყუროდა საშ-
ინლადა, მოუთმენლად, გონის დაკარგვამ-
დე. წყალი დამალევი-მეთქი, ვთხოვე
ოპერატორ გოგონას, რომელიც დროდა-
დრო მონიტორებს აკვირდებოდა. არ შეიძ-
ლებოდა, ცივად მიპასუხა. არ მოვედი, მეტ-
ის მოთმენა არ შემეძლო. დამალევი, ღმ-
ერთი არ გნამს-მეთქი? შევევადრე.
სთხოვეთ, აგერ, მთავარ ექიმსო. ჩემ-
გან ასე, სამ-ოთხ მეტრში, სავარძელში მჯ-
დომ ქალბატონზე მიმითითა. ხანშიშესუ-
ლი ქალი იყო, არ შემინიშნავს. ეძინა.
დავაკვირდი და ელდა მეცა, ვიგრძენი,
მარცხენა ხელი როგორ მივიტანიე მკერდ-
თან.
— თათია, წყალი, გეხვეწები! — არ მქ-
ონდა „ქალბატონოთ“ მიმართვის თავი.
თათია წამოდედა და ჩემთან მოვიდა.
— თქვენ დამიდახეთ?
— დიახ, მე გიცნობთ თქვენ!
— საოცარია, ნარკოზიდან ახალგამო-
სულები, როგორც წესი, თავიანთ სახელს-
აც ვერ იხსენებენ და ახლობლებსაც ვერ
ცნობენ...
— თვალებით გიცანით, დახუჭული თვ-
ალებით, — ვუთხარი მე.
— ეს კიდევ მეორე საოცრება!
თათიამ სათვალე გაიკეთა და დამაკე-
ვირდა. მერე უცებ შებრუნდა და გასასვლ-
ელისკენ გაემართა. მიეცით ავადმყოფს წყ-
ალი, უთხრა ოპერატორთა.
— რამდენი მიეცე, თათია ექიმო?
— რამდენსაც მოისურვებს!
თვალს ძლივს ვახლდი, მაგრამ მაინც
გავაყოლე — ტანი ახალგაზრდულად და
ღირსებულად ეჭირა.

გუშინ საღამოს მეგობარმა ტელეფონ-
ით საუბარს სხვათა შორის მოაყოლა, პრო-
ფესორი თათია ბერულავა გარდაცვლი-
ლა და ხვალ ასაფლავებენო.
შევწუხდი.
დილით ვარდები ვიყიდე. ჩავჯექი მან-
ქანაში და იმ სახლს მივაძექე, სადაც ოდ-
ესლაც შეყვარებულმა ყმანვილმა კიბეები
გულისფანცქალით ავიარე.
ზღვა ხალხი ირეოდა.
კუბოში ოთხმოცდაექვსი წლის გამხდა-
რი, გალუული ქალბატონი იწვია. დახუჭულ,
ჩავარდნილ თვალს მივაშტერდი. ღმერ-
თო, როგორ მაგიჟებდა ერთ დროს ჩემი
ექიმის ეს მაგიური პოზა, როგორ მსურდა,
ველური კოცნით დავკვდომოდი იმ მოცა-
ცაზე ქუთუთოებს...
მინდოდა, თათიასათვის შუბლზე მეამ-
ბორა, მაგრამ ვერ გავხვედი, ვინ ვიყავი, ვინ
იცოდა ჩემი ყრმობისდროინდელი ვნე-
ბანი... რას იფიქრებდა ხალხი!.. ყვავილე-
ბი ფეხებთან მივანყვე, გამოვბრუნდი და
კიბეებს წელი ნაბიჯებით ჩამოვუყვი.
მანქანის კარი გამოვალე და მხოლოდ
მაშინ ვიგრძენი, მოხრილი მარცხენა ხელი
გულზე მქონდა მიხუტებული.

შეიმოღებოდა ღრუბლიანი დღეა. სწორედ ისეთი, შენ რომ გიყვარს. უკვე „წვიმის სუნი მოიტანა ნიავმა. ცოტაც და ჩხრილით ჩამოვა ფოთოლი ქარის ოდნავ დაქროლებაზე, მერე წერილი, ბუსუსა წვეთებით გაჟივდება ჰაერი, გაიძენება ნისლი კაკლის კენწეროზე, გამუქდება კრამიტი...“

ასეთ დღეებში შენზე ვფიქრობ. ვიცი, ახლა კომოდინდან ბებიას ნაქონ შალს იღებ, რომ გარეთ გახვიდე და გზას დაადგე, გზას — ორივე მხარეს რუები რომ ჩამოუდის. მიდიხარ, რუს პირ-პირ, ძველებურად, ჩხრილით მოგყვებიან რუები. როგორ მიხდა, ხელი ჩაგჭიდო და მეც შენთან ერთად გამოვყევი გზანჯვრის, მაგრამ „შენ ისე ძალიან გიხდება ღრუბლიანი დღე“, ვერაინ დაგირღვევს ამ იდუმალებას, ვერაინ შეეხება შენს მარტოობის დღეებს. შენც იცი, როგორი ლამაზი ხარ შენს მდუმარებაში, სახეზე რომ დაგათამაშებს „ღიმილი მარტომყოფისა“.

— იცი, რა ლამაზი ხარ?
— ვიცი, — რატომ უნდა ეგონოს, რომ არ ვიცი...“

არიან მარტოობის ადამიანები — ღრუბლიანი, ნისლიანი და წვიმიანი დღეების, ფიქრისა და სიჩუმის, ღმერთს რომ ღუმის ნიჭი უბოძებია, ნისლის საბურველში ბებების ნაქონი შალივით რომ გაეხვევიან და საკუთარ საოცარ სამყაროს ქმნიან.

„ნეტავ, რამ ასწავლა ამ გზას მარტოობის ფასი, ასეთ თანაბრად რომ მიიწვევს საკუთარი თავისკენ... მხოლოდ საკუთარი თავისკენ.“

იქნებ „ბედისწერა შენზე ძლიერი აღმოჩნდა“?! იქნებ „მოგეცა ღვთაებრივი მორჩილება“?! განა სიჩუმეში არ მყარდება ყველაზე ახლო კავშირი ღმერთთან, განა არ მიდის მასთან ხმა მდუმარისა?! ეს სიჩუმე შენი მედიტაციაა. აქ გეძლევა სხვა თვალი, სხვა ხედავს, სხვა გრძობს... აქ გეძლევა სინათლე და სულის სისპეტაკე. ხვდები, რომ „შენ ხარ ყველაზე დიდი სასწაული ამ ქვეყნად“.

„ოთახში გამეფებული სიჩუმე ყველაფერს სიკამკამით ავსებს — რას აღარ, ვის აღარ“.

არ გასურს, ბედისწერასთან ჭიდილი, იცი, აღარაფერი მოხდება მეტი. ყველაფერი უკვე იყო, იყო წარსულში, ბავშვობაში, ახლა უკვე უღრუბლოდ რომ გეხატება, ხედავ, როგორ გარბის იგი და სივრცეში ინიტქმება, როგორც მინდორი.

სივრცეში იკარგებიან ის უბრალო ამბები, რომელზეც გაიზარდე, რომლებსაც ერთხელ გადაუვლიათ ცხოვრების გზაზე. და მაინც, ხანდახან ნაძვლებს სურვილი, გახვიდე შეყვითლებულ ყანაში და გასძახო ტყეს, რომ ისევე შენი ხმა გაიგონო — ქარისგან ნამოღებული ხმა მდუმარისა...

— მარიამ...
ლილი...
ევა...
ციცკა...
ზია...

ქარი უკან გიბრუნებს წარსულის სახელებს, გაიხლებს სულში ამოჭრილ იარებს და ისევ საკუთარ თავში გაბრუნებს, ისევ სიჩუმეში იძირები, ისევ გრძნობ, რომ აღარაფერი იქნება, რადგან ყველაფერი უკვე იყო, ის ძლიერი სიყვარული აღარ განმეორდება, აღარ დაბრუნდება (თუმც არც გამქრალა). მხოლოდ სიყვარულია ნამდვილი, მარადი.

„არაფერს ნანობდა, იხსენებდა, სიყვარულით სავსე, ლამაზი რომ დადიოდა ამ ქვეყანაზე. იმ დღეების მერე ვითომც არცა ყოფილა“.

ან რაღა უნდა მოხდეს?!
„ეს ყველაფერი საკმარისია, საკმარისია ერთი სიცოცხლისთვის“.

„შენ იცი, რომ უკან აღარასოდეს არ უნდა დაბრუნდე, აქ მაინც აღარაფერი დაგხვდება“... „ისე უნდა ნახვიდე, მხოლოდ ზურგს მოჰკრან თვალი“.

— იყავ წმინდა ნება შენი, უფალო! — ჩურჩულებს და არ აპირებ აღარაფრის შეცვლას.

„ამაოდ ჩამოდის ყვითელი ფოთოლი, ამაოდ იქარგება მინის კალთა... არაფრის შეცვლას არ ვაპირებ, იყოს ყველაფერი ისე, როგორც არის — გამოვალე ფანჯარას და დავინახავ დედამისის დარგულ ნარცისებს, გამოვალე კარს და ჩვენი ჭროლა თუთა ააღაპრებებს ფოთლებს...“

ამიტომაც მარტო ხარ, „ჩუმად შედიხარ და გამოდიხარ, ჩუმად ფრცქვნი ვაშლს“... „მარტოობა უფსკრულში გადაშვე-

თამარ იაშვილი მწერლის იდუმალი სამყარო

ბას ნიშნავს“, იქ არავინაა საკუთარი თავის გარდა, საკუთარი ფიქრების და დარღების გარდა, „მწარეების, ქენჯნისების“...
როცა ღუმელი გაუსაძლისი ხდება, ხმა მდუმარისა უფსკრულიდან გამოლწვევას ცდილობს, თუმცა, „ნაღველში ამონებული კლამი ქალაღზე კვალს ვერ ტოვებს“.

„არ მიკვირს, ჩემი ფარული ტკივილები რატომ არ ეკარება ქალაღს.“
„შენ ხომ ის არა ხარ, რასაც ლაპარაკობ, შენ ისა ხარ, რაზეც ჩუმდები...“
ხანდახან გგონია, რომ ყველაფერი სიზმარია, რომ არც არაფერი ყოფილა ბავშვობის შემდეგ. შენი ღუმელი ისეთ იდუმალ სამყაროს ქმნის შენს გარშემო, რომ ყველაფერი „არარაში“ ინიტქმება და ფიქრობ: „იქნებ გრძელ დაუსრულებელ სიზმარს ვხედავ, იქნებ თვალს რომ გავახეულ, ბები-აჩემის ლამაზი მხრები დავინახო — ხორბალს ანიავებდეს ჩვეს აივანზე... მე მაგიდასთან არ ვიჯდებ, ლურჯი სუფრის კალთა არ მეფინოს მუხლზე, კალამს არ ვაცივებდებ...“

და როცა ასე ყველაფრისგან გაქცევა გინდა, როცა ისევ ბავშვობაში დაბრუნებას ცდილობ, „წარსულზე ფიქრი, როგორც მდინარის წყალი ჩათვლებილ ქვებზე, ისე გადადის“ და „უცებ რომელიღაც უცნობი მდინარე თანაბრად იწვევს შენში ჩხრიალს და ახლა მის თანაბარ და გაუნწყვეტელ ჩხრიალს მიჰყავხარ სადღაც მონატრებულ და უცხო მხარეში“. თითქოს გარედან უყურებ შენს თავს, დამკვირვებელი ხდები, და გიკვირს: „აი, თურმე როგორ დავდივარ, როგორ ვილიმი, როგორი ხმა მაქვს...“

„რა უცნაური იდუმალებით მოსავს ადამიანს მარტოობა. აი, თურმე როგორი სიცილი სცოდნია ამ ქალს, როგორ უხდება პატარა ფოსლით ლოყებზე, რა ლამაზად ეკრებიება საფეთქლებთან თმა. თვალები უციმციმებს და, ალბათ, ყველაფერი ციმციმებს და შინაარსს სძენს მის გარშემო“.

შენ შეგიძლია, იყო საინტერესო, იჯდე ბაღში მოწყენილი, იმდენად მოწყენილი, რომ ივან ბუნიჩმა კი „შეგამჩნიოს“ — „ბაღის კიდეს გადმოჭრის ივან ბუნიჩი, თავისი განუყვრელი ტროსტი, ცოტათი ჩაგცდება, მკვეთრად შემობრუნდება, გახედავს რაღაცას შენს ზევით და გზას გააგრძელებს თავისი განუმეორებელი, მტკიცე ნაბიჯით...“

იმევე საღამოს ვერა ივანოვნას დღიურში გაჩნდება ჩანაწერი: „ივანი ადელევებული მოვიდა. ბაღში ახალგაზრდა განმარტოებით მჯდარი მოწყენილი ქალი შეუნიშნავს“.

ვგრძნობ, ამას რომ წერდი, როგორ ილიმობი. შენი განუმეორებელი ღიმილი დაგთამაშებდა სახეზე, გიჩნდებოდა ლოყებზე ფოსლები. ვიცი, შენი მკითხველისთვის, „დაშოფრე“ ეს სტრიქონები, თუმცა უამათოდაც ვხვდები, რომ თავადაც ბუნინის გმირებით მგრძნობიარე ხარ, მათსავით სიყვარული შეგიძლია, გჯერა, რომ სიყვარული „არსებობს. ეს ერთადერთი რამეა, რაც არამარტო არსებობს, არამედ არსებობაზე ათიათასჯერ მეტია“. თუმცა სიყვარული უფსკრულში გადაშვებაც არ-



ის, მოტკობ კვამლით სავსე უფსკრულში. ბედი სასტიკად დაუნდობელია მათ მიმართ, რომელთაც სახადივით შეჰყრიათ სიყვარული (მარიამს, ლილის, მზიას...). როგორ გაუსაძლისი გამხდარა მათი ცხოვრება, ისევე, როგორც „ბუნიჩის ქალების“ — ველგასი, ნატალის... მაგრამ მაინც მთავარი ღირსება შერჩენიათ (ხანდახან ერთადერთიც) — ეს ისევე და ისევე სიყვარულია.

სიყვარული, თავიდანვე განწირული, საბედისწერო... და ისინიც ეგუებიან ღალატს, მარტოობას, მარტოხელა დედობის ტვირთს... რადგან ვერ დაემალები გრძნობას, როცა მისი დანახვისას „გული სადღაც სასულეში გიცემს“ და მის ერთ დაძახილზე თავპირისმტყვევით გარბიხარ, დანახვაც თუ არა, დატრიალდება უცნაური სხივი, შეგამკობს, გაგალამაზებს... და ეს ყველაფერი საკმარისია ერთი სიცოცხლისათვის.

სიყვარული, რომელიც ცხოვრებას დაგინგრევს და მაინც არაფერს ნანობ... მიგატოვებს და მთელი სოფლის გასაკილს გაგხდის (საკუთარი მშობლებიც კი ხელს გკრავენ), შენ კი აუგიც არ დაგცდება.

ერთხელაც გვერდს ისე აგივლის, შენც არც გამოიხედავს... რომ მიხვდები, არასოდეს ჰყვარებიხარ, იქ მთავრდება შენი სიცოცხლეც. მის გარეშე ხომ ისედაც ზეზურად მკვდარი ხარ და სხვა არც არაფერი გინდა, რადგან, რაც იყო, ის აღარ განმეორდება. ეს ყველაფერი საკმარისია ერთი სიცოცხლისათვის.

შენც ასეთი ქალი ხარ. გხედავ, „ზიხარ ტახტზე ფეხებზემოკეცილი — ერთადერთი და განუმეორებელი“ და ფიქრობ: „ხომ შეიძლება ისეთი ვიყო, არ შეიძლებოდეს უჩემობა... როგორ მიხდა, იგრძნო მწუხარება და მარტოობა იმის გამო, რომ არსად აღარ ვიქნები, მთელი ქვეყანა რომ მოიარო, ეცდები, მაგრამ ვერ გამოიხსენებ... ბოლოს, ყველაფრის ბოლოს დაიჯერე, რომ არსებობდა ასეთი გაუსაძლისი წამები და თითქმის შეუძლებელი სიცოცხლე... და მე არ ვიცი, რატომ დავადგებით ხოლმე ერთმანეთისაკენ მიმავალ ძალიან შორეულ და დამქანცველ გზებს, აღარ თავებდებიან ეს გზები, აღარ თავებდებიან თვით სიკვდილამდე“.

და ასე ცხოვრობ ნისლებში, წვიმებში, რუების ხმაში... ეს მოგუდული რუების ხმები ხომ ზამთრის მომასწავლებელია. გიყვარს ზამთარი, თოვლს ელოდები. განცდა იმი-სა, რომ დაზამთრდა, ბედნიერებას განიჭებს, რადგან იცი, ამას აღარაფერი შეცვლის, ამ ბედნიერებას ვერც ვერაინ მოგცემს და ვერც ვერაინ წაგართმევს. გიყ-

ვარს „ზამთარში თოვლის გზით შესვლა და დრო, რომელიც თითქოს გაზაფხულის, სინამდვილეში სასწაულის მოლოდინისთვის გეძლევა“. მთავარია, გამოიზამთრო. თუმცა აღარაფერი მოხდება მეტი.

მაგრამ მაინც... იქნებ გაზაფხულზე ველარ დათმო ღარბიანთ ღობეს მონყე-ეტილი ბაირალივით გაშლილი ზაფრანის ძირი? ან იქნებ მზით განათებულმა ფოთო-ლმა შეგაჩეროს? იქნებ რუების ჩხრიალმა წაგილოს სხვა მხარეს? არც ტყის პირას ასკილის და კუნელის ღაღაღა ბუჩქები დაგენანება? არც მზესუმზირას ყვითელი, ხაოიანი ყანები? ბუები? ან გაზაფხულზე გაგიჟებული ატმები? ჭროლა თუთები?

„მაშინ, როცა შეუძლებელი ხდება ცხოვრება, იწყება რაღაც სხვა“.

მიდიხარ დიდ გზაზე... უკვე ერთი ხდე-ბა დასასრულიც და საწყისიც.

„ნამოვალ თოვასავით. წაფიფინება ჩემი სული სახურავებს, ხეებს, ღობის მარგი-ლებს, ტალახს და ნუნუნებს, თვალის გუგებში შეეპარებათ ღამაზი თოვლი ადამიან-ებს...“

მიდიხარ, შენს ზურგს ვხედავ მხოლოდ. „არაფერი არ უნდა დაიტოვო ჯიბეში. აღ-მოჩენილი ხურმის კურკაც კი და ასე ცარი-ელ-ტარიელმა გადაიარო უცხო მინდორი, გადაიკარგო უცხო მხარეში“.

მიდიხარ, მიაპობ შენს ნილ ჰაერს და კვ-ლავ გრძნობ განუყოფლობას ყველაფერ-თან, რასაც ხედავ, რაც გვისმის, რაც სუნთქ-ვას აჰყვარს და თვალთაგან არ გიქრეფ-ვარეთ უკვე ტრიალებს ზამთრის წმინდა სული და შენი კირიონებიც დაფრინავენ, სამოთხიდან გამოპარული ფერადი ჩიტე-ბი.

მიდიხარ და თოვლით მოგვირღ სიხ-არულს მალავ. ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძ-ნობ, როგორ დაგათამაშებს ღიმილი სახეზე. მიყვარს ეს შენი ღიმილი მარტომყოფისა და მესმის შენი ხმა — ხმა მდუმარისა: „რად ითხოვს ქარით დარწეული ხე ჩვენგან პას-უხს, ან ცივი მიუკარებელი ღამის ზეცა, ან თოვლის თრთინვა ან თვალმომილული ჩვენი წარსული“.

მიდიხარ და ასე მგონია, ბუნიჩის ველ-გა ხარ და მალე იქნებ ფრინველადაც იქცე და (ზღვაში არა) თოვლში გაუჩინარდე. იქნებ შენც ველგასავით გინდა, უთხრა შენს სიყვარულს, გააგებინო, რომ ისევ ძველე-ბურად გიყვარს, როგორც იმ პირველ დღეებში გიყვარდა. მაგრამ ვერ ასწრებ და იქნებ შენც თეთრ თოლიად გადაიქცე? არა, ალბათ, უფრო სამოთხის კირიონად.


იქნებ შენც ეკითხები საკუთარ თავს, როგორც ის ქალი ბუნიჩის „ცივი შემოდ-გომიდან“ : მიისცა რა იყო ჩემს ცხოვრება-ში კარგი და მოსაგონებელი? მხოლოდ შე-მოდგომის ის ცივი საღამომ? სხვა ყველა-ფერმა ამაო სიზმარივით ჩაიარა. და, ვინ იცის, იქნებ შენც დარწმუნებული ხარ, რომ ის ისევ იქ გელოდება, ისევ სიყვარულით სავსე. შენს მარიამსა თუ ლილის ხომ მხო-ლოდ სიყვარულით ღამაზი დღეები დარ-ჩათ გასახსენებლად?! ამ დღეების მერე ვი-თომ არცა ყოფილან. მხოლოდ ის იყო, ის ერთი გაელვებასავით ამბავი.

ეს ყველა ხომ შენ ხარ, შენი სულის ნან-ილია, თითოეულს რომ ასე უშურველად გაუნანილე. შენ თავად ხარ მოთხოვნილი, დამკვირვებელი და შენი მოთხოვნილის მთავარი პერსონაჟიც. ეს ხომ შენი შინაგა-ნი მონოლოგია, შენი სინათლით სავსე სეე-და. ეს შენ ხარ მთელი სამყაროს დამტყევი და ამ სამყაროს პირისპირ მარტო და შიმ-ველი. ეს შენი ამბავია, შენი ხმაა, შენი რიტ-მი და მელოდია — სასეველი და ფა-რული სიხარულით.

მიდიხარ, ეს ყველაფერი საკმარისია ერთი სიცოცხლისათვის. „ხოლო შენი სიყ-ვარული — ფრთაზაზი, ღამაზი ფრინვე-ლი იქვე ალვის კენწეროზე შემოხდა...“

„ნუთუ ყველაფერი იმ დღისთვის გეძლ-ევა, როცა უკვე იცი, ვინა ხარ და საით მი-დიხარ, როცა ყველაფერში ჩამხრჩვალა დასაწყისიც და დასასრულიც, არსებობის მიზეზიც და არარსებობის მიზეზიც.“

ახლა, როცა ბანრის ბოლოს ნელ-ნელა ვარღვევ და გაიხლოვდები, შენ კი მოდიხარ თოვასავით, თოვლის მისტიკა და სისპე-ტაკე უკვე ავსებს ჩემს სულსაც ტკივილი-თა და სიხარულით, შენი იდუმალი სამყა-როს ნაწილი ვხდები და გინდაც სხვა არა-ფერი მოხდეს (რადგან მთავარი და მნიშვნ-ელოვანი უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში), ვი-ცი, რომ ეს საკმარისია ერთი სიცოცხლი-სათვის.





ილო გველესიანი

დედაო ბარბარე!

ყური არ ვათხოვე უფლის დანაბარებს. მაცდური მაცდუნებს, გულზე ხელს მაფარებს. ვერსად გავიქეცი, თავი ვერ დავმალე. დღეები ფიქრით მიჰქრის მალ-მალე. ნაყოფს რას მოვიწევ — არ ვთესე, არ ვბარე. სულის გადარჩენას სიცოცხლე მავალებს. ერთი რამ ვაებად მექცა, და მანვალებს: რა ვუყო უფლისთვის მისაცემ ამ ვალებს. შენი წმინდა კალთა, გთხოვ, გადამაფარე, ცოდვებით ვიხრჩობი, დედაო ბარბარე!

მართა და მარიამი

მზე ანათებს გაზაფხულის, სიო ცაზე ღრუბლებს ართავს. შორეული სამრეკლოდან ყრუდ მოისმის რეკვა ზართა. სკვინჩა ბუჩქზე ზის და უსტვენს, განოლილა კატა კართან. მარიამი ცას ასცქერის, პურს თონეში აკრავს მართა. ოცნებები გაფანტულან ზოგი — ალთას, ზოგი — ბალთას. ჟამი დადგა უთავბოლო, ვერ გაარჩევ ცრუს და მართალს. დრო იყო, რომ აქ მოძღვარმა დაიბერტყა კვართის კალთა. ახლა დგება დრო ჭინკების, ქაჯების და ღამის ალთა... მზე ანათებს გაზაფხულის, ისმის რეკვა ტაძრის ზართა. მარიამი პირფარას იწერს, პურს თონიდან იღებს მართა...

მე უკვე ვსწორდი, დიდო მარშალო!

მე უკვე ვსწორდი, დიდო მარშალო, მზადა ვარ ფრთები ცისკენ გავშალო! ჩავკალი ჩემში შიში და ძრწოლა, — ვიცი, ღრუბლებთან მომიწევს ბრძოლა. მზემ ამომიშრო სველი თვალები... ველი ბრძანებას გარდაცვალების. მომაქვს ცოდვები სულის მტანჯველი. მზად ვარ მივილო შენგან სასჯელი. ფიქრები სიტყვებს ვეღარ გართმავს. გაიწეწება ქარში შავი თმა. პოეტის სულის იდუმალე — მთვარე — ღრუბლებში დაიმალება.

დაეფინება ნამი ენძელებს და ქარზე ფიქრი არ დააძინებს... ომის ველიდან, ჩემო მარშალო, ჩემი ბანაკი მზად ვარ, ავშალო. ჩემი სახარჯი ტყვიები ვხარჯე: ვებრძოდი ქვეყნის ჭინკებს და ქაჯებს. არვის წინაშე არ ვკრთი, არც ვშარობ... ველზე ბანაკი სხვამაც გაშალოს. მშვიდობა მინას! ზეცას დიდება! სიცოცხლე იმას — ვისაც სჭირდება. მე რახანია, ვსწორდი, მარშალო, მზადა ვარ, ფრთები ფართოდ გავშალო!..

რაც არ მომხდარა, მოხდა!


ისმის გუგუნი ხშირი... რაც არ მომხდარა, მოხდა! ჩემი თოჯინა ტირის, შენი თოჯინა მოკვდა. საფლავს არ უნდა გათხრა, ყუმბარა გათხრის საფლავს. — უფალო! — გიხმობ, — სად ხარ! სულს სიყვარული ღაფავს. გული დაკარგა მინამ, ფერი დაკარგა ზეცამ. უსიყვარულოდ იქცა ადამიანი მხეცად. ბომბები ფშვნიან ლოდებს, კივილი ადის ცამდე. მინდა, ბავშვობა მექონდეს! მინდა, სიცოცხლე მწამდეს! ია ამოდის თოვლში, ია ფიფქებში მღერის. — შენ რომ მიდიხარ ომში, ჯერ ამოგსვლოდა წვერი! ზუზუნი გააქვს ტყვიებს, მზეზე ფეთქდება ჭურვი. ვილა მომიტანს იებს, ვინ ამისრულებს სურვილს.


ამ გაზაფხულზე ვარდებს ალარ უმღერებს შაშვი. ფანჯრებზე ცეცხლის ფარდებს შიშით შეჰყურებს ბავშვი. გულიდან ჟონავს სისხლი, მზერა გამიხდა კუშტი. ზე აღიმართა რისხვით მილიონობით მუშტი. ისმის გუგუნი ხშირი... რაც არ მომხდარა, მოხდა! ჩემი დედიკო ტირის, შენი დედიკო მოკვდა. მთების გავყურებ ზღუდეს, ძერა დაფრინავს წრეზე, ჩიტი ვერ აგნებს ბუდეს, ცეცხლი მიცოცავს ხეზე. — გთხოვ, არ დამტოვო, ბიჭო, ჯერ არ მიხვიდე ღმერთთან. კარს დაგიტოვებ ღრიჭოდ, შინ რომ დაბრუნდე ჩემთან; მერე იების გვირგვინს როცა ჩამანნი თმაში, — სითბო იქნება ირგვლივ და გამარჯვების მარში. ჩვენი ზეიმის ამბავს მტრედებს გავატანთ ცაში. მზისფერს ჩავიცვამ კაბას, რწმენა მექნება ხმაში, ოლონდ არ მოკვდე, ბიჭო, ჯერ არ მიხვიდე ღმერთთან.

ჩემს კარს გიტოვებ ღრიჭოდ, — უნდა დაბრუნდე ჩემთან. ისმის დაბომბვა ხშირი... რაც არ მომხდარა, მოხდა! ჩემი ბავშვობა ტირის, შენი ბავშვობა მოკვდა.

ხან-ხან

ირყევა სამყარო, თრთის წუთისოფელი. იცინის უჭკუო, სწუხს ჭკუათმყოფელი. ჩვენ კი ერთმანეთის გრძნობებზე ვნადირობთ: გვსურს, რომ ერთმანეთი ვტანჯოთ და ვატროთ. ხან ჩემთან მოდიხარ, ხან ჩემგან მიდიხარ. ხან ტირი, ხან ბრაზობ, ხან კიდევ მშვიდი ხარ. ხან ურცხვი ვნება ხარ, ხარ მორცხვი ფლიდი ხარ. ხან თვალზე ცრემლი ხარ, ხან თვალში ბინდი ხარ. ხან ჩემი ფარი ხარ, ხან სხვისი მშვილდი ხარ. ხან ჩემი ზღვა ხარ და ხან ზღვაზე ხიდი ხარ. როდესაც კისკისებ — შრილა ყანა ხარ; როდესაც გაჰკივი — ყაჩაღის დანა ხარ. ხან ყალბი ოქრო ხარ, ხან ლალის თვალი ხარ. ხან დილის სხივი ხარ, ხან ღამის ალი ხარ. ხან სათნო შველი ხარ, ხან ცელქი კატა ხარ... ვფიქრობ და ვერ ვხვდები, ასეთი რადა ხარ! მონამის ნილაბი აიკრა — მზადა ხარ. ჩემგან რომ გარბიხარ, გეძახი — სადა ხარ!!! შენ ისევ მოდიხარ, შენ ისევ მიდიხარ. მე მაინც მძულხარ და მე მაინც მინდიხარ. ცხოვრება გადის და ვნებები გიყდება... ჩვენ ეს „ხანხანობა“ სიბერედ გვიჯდება.





ნოდარ წვერიკმაზაშვილი

გლახკაცს უხდება ზვარში ჯახირი,
მარტს — ატროკება ნატვრის რტოების,
ზღვას — იალქანი, ჭალას — ნახირი,
ქალს — როიალთან განმარტოება;
სიყვარულს — პირველ ცეცხლშივე შთანთქმა...
ჩემს ყოფას? — აბა, რა ვიცი, რა ვთქვა!

ნაზამთრალ ქალაქს გაზაფხული კვლავ მოეძალა;
გაქსუებული ქალ-ვაჟებით სავსეა ქუჩა...
თბილისი ღამის სამოსელში ჰგავს მთვრალ ამორძალს
და ცალი ძუძუ — მთანმინდა უჩანს!

არამელ

გამოვიარე მე, ღვთის გლახამ, რაც ჭირ-ვარამი,
არვი, რა გზნებით მოვალნიე ამ დღის კარამდე...
შიში ხვალისა კი არ მთრგუნავს ახლა, არამედ
ის, რომ აქამდე მიცხოვრია თურმე — არა მე!

აზრზე მოდი

რა ბედენაა სხვის ლაშქარში სახელის ხვეჭა —
აზრივ შინ ეგდო, დიაცებში, და ქსელი ბეჭვო!

თავებდს ვინყველი, ისე გაგებზრდი;
არ ვიცი, რა მძაგს, ან რა მწადია...
გამობმული ვარ ლოდინით ბნელზე...
ლოდივით მადევს დღე ომისფერი!

ვერაბი ზრახვა

ერთმა ვერაგმა ზრახვამ
ისე დამრია ხელი —
არ მინდა შენი ნახვა
და გახსენება ძველის!
ფესვს დავაპურებ, რაღა
ბალახს ვუღირო ცელი...
ერთმა ვერაგმა ზრახვამ
მაგრა დამრია ხელი.

მოღაქ, სიყვარულ

მთანმინდის მთვარემ ნაბადივით მოისხა ღამე...
მთნიე ახლა კი, სიყვარულო, როგორც გნებავდეს —
ეგ ანტიკური ნეტარება დამიტყვე წამებს!
მე შენთვის ყურში სათქმელი მაქვს იმდენი რამე,
რომ იქნებ ვერცკი ამოვხარჯო დალის ვნებამდე...
მტკვრის დუღუნით მღვინთება ქალაქის ღამე!

ჯირ-ჯირი

ჯერ იყო სიტყვა, ასე იწყება სამყარო;
ჯერ იყო ვაზი — ასე საქართველო!..
ჯანი, მზერა, ხასიათი, ბედისწერაც კი,
ვაზიდან გვაზის.

მნარე ნელინადი

ეტყობა, მაგრა რასმე შევცოდე —
ამ ნელინადმა ისე დამცადა;
ვერც რა გავეცი, ვერც რა ვიტვირთე,
ვერც სიტყვა დავძარ გულში ნათქვამი...
მზემაც ვერ მათბო, ისე ვლამდები,
მგონი, ასაკიც არ შემმატვია...
შენც კი, ვისთვისაც სიცოცხლე ვხარჯე,
კარი ზედ ცხვირწინ გამომიჯახე.
ვილა ვაჯერო, როგორ გაემნარდი,
ამ ნელინადმა როგორ დამცადა?!

ფხვიშვილა პარლაბი

ფიქრშემხმარი სიმშვიდე,
უნდილური ნდომანი,
სანდომიან სახეთა
გულამრევი სიმრავლე;
ფხვიშვილა ვარდები
ხავერდოვან სილაზე,
კენარ კვიპაროსებში
სასაფლაოს შრიალი...
მივდიოდით გულდაგულ,
დიდხანს, მაგრამ შორიშორ
და ლურჯ აღმასავლეთში
გადავასწარ სიბერეს...
სულს სწყურია იბერის
წარმართული იერი;
გვამს მიქელ-გაბრიელი
სულაც მუქთად იბარებს!

ნატვრა დარიალთან

როგორც ქართველნი ოდესღაც დიდგორს,
ისე მიმდგარან კლდეები, მჭიდროდ!
ოჰ, ნეტავ ახლაც, ბიჭებო, ვინძლო...
სხვა ნატვრა აქ ვერც გაიჭაჭანებს!

რას გაყვარები

რალაი შენი ფერა არ ვარ,
რას გეყვარები!..
მაგრამ ის მიღრღნის
და მიცუდებს გულს ნამეტნავად,
რომ ეგ უღრანი,
ოკეანის ტოლა თვალები,
ჩემდამი ციდა სიბრალულსაც
ვერ იმეტებენ.

მაინც რა იყო

იმ დროს ვიგონებ, უცნაურ მაისს...
ის სიყვარული რა იყო მაინც?!
მაინც რა იყო, როგორ მანამა
მზით დაფერილმა ორმა ნანნავმა...
არ დამცდენოდა სულაც, ნეტავი,
გულიდან სიტყვა გაუბედავი
და არ მენახა შენი თვალების
ელდა და ფერი შენაცვალეები.
წლებმა წაიღეს ძვირფასი სითბო,
იმ დროს ვიგონებ და მცვივა თითქოს...
რა სიყვარული იყო მაინც ის —
არ გაგონილი, არა მაისის!

ჭიანჭველებისა არაფერი მიჰვირს

ჭიანჭველებს მე ვამგვანებ იაპონელებს,
გარჯა-საზრიანობით, უპირველეს ყოვლისა.
თუ მოინადინეს „ძიუ-დოსაც“ ისწავლიან
და, თქვენ წარმოიდგინეთ, „კრიმანჭულსაც“!

მცნეაბი ელინიკოს

რუსთველმა და სახარებამ
სიბრძნე გვამცნეს რამხელა:
სიყვარულსა მალვა უნდა,
ცოდვებს კიდევ — გამხელა!..
ბარელამ ვთქვათ, რაც დავითის
წიგნიდანაც გვსხივდება:
სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში ტკბილდება!

ორი მოხუცი ვაკის პარკში

ემწნოდით, ჩვეულებისამებრ შეხვდნენ;
ჩემს სიახლოვეს მერხზე ჩამოსხდნენ,
დამდგარი დარის თაობაზე
ორიოდ ფრაზით შეჯერდნენ,
თითოც „მარლბორო“ გააბოლეს;
მაჯები ხელჯობებს ჩამოაბჯინეს
და ნაძვ-ბუჩქნარის სიმყუდროვეში
უსიტყვოდ გააგრძელეს ბაასი...
ყურის გდება მეუხერხულა
და მოშორებით გადავჯექი.

დედაჩემზე მარტივად ასე ვიტყვოდი:
ის დედაქალი იყო და არა — დედაკაცი.
აი, ვარა დედა კი, ბესიკის დედა,
დედაკაცი იყო ნამდვილი!

პარ მებ-ნაკლებად

ასე თუ ისე, ჩემკეც როა ილბალი, ვატყობ,
რაც ოღრო-ჩოღრო დროებისთვის საკმარისია —
ვარ მებ-ნაკლებად,
ნატვრითაც ბევრს არასა ვნატრობ...
და სხვაფრივ ყოფნა განალა კი საკადრისია
ამ სანუკვარი მტერუკების გარემოცვაში,
ასე ცხოვლად რომ მიგონებენ
ჯერ კიდევ ცოცხალს?!

გაურკვევლობაში მყოფი

არ მეყურება შინაგან ხმების —
ავყევი რალაც უაზრო გზნებას,
ალარ მწადიხარ და მაინც გხვდები,
ემონებ დაბანგულ სურვილთა ნებას...
და რაც რამ ახლა ჩემს თავსა ხდება —
რატომღაც მხოლოდ მე ვერა ვხვდები!

მსატვრული არითმეტიკა

„ნაეიდა თოვლი, მოვიდა მინა“.
შოთა ჩანტლაძე
ან
„ღრუბელი ფიქრობდა, საით წასულიყო“.
მურმან ჯგუბურია

მსგავს რალაცეებს კაცი რომ იტყვის,
ასი თვალ-ყური მაინცა აქვს — სულ ცოტა;
და
ოთხიც კიდევ სიტყვა — სულ ბევრი.
ეგ არი და ეგ!

მოგყოლი კითხვა

შოთა ბატონო,
კი, თქმა უნდოდა,
რომ მზე ვარდს და ნეხვს
თანასწორად დაეფინება!..
და შენებურად ესეც გვითხარ,
რატომა ხდება:
ბუზი ვარდს რომ არ ეტანება,
ფუტკარი — ფუნას?!

აქ ყოფნისას რომ ავს იტყვი,
კარგს — იქითისთვის ინახავ?
შე ოთხმოცს მიტანებულა,
ჰამლეტა ხარ, თუ ვინა ხარ?!
ლირს რომ ვერ იტყვი, ცხადია,
ვერც არაბთ მეფე როსტევანს;
რომეო ვარო, არ მითხრა —
ტყუილს ხომ ფეხი მოკლე აქვს!

მაყურაბლის შთაბეჭდილება

ცივად აღიქვა ჯალათის ცულმა
ნამი ტანის და თავის გაყრისა...
მომხდარს შევესწარ ბოლომდე, თუმცა
ვერც კუნძს შევატყვე განცდა რისამე.
აი, ჯალათზე კი ვერას ვიტყვი —
სახე არ ჰქონდა!

ფიქრის გამოხშირვის თაობაზე

ფიქრიც, ცხადია, სიზმარივითაა —
სინათლის სისწრაფით მიმოიქცევა
ჩვენს ტახტებსა და უფლის სატახტოს შორის...
და მას ვიდრემდე ენაზე, ან ქალაღზე,
ან სულაც ტილოზე განვათავსებდეთ,
ან კიდევ რამე საქმეში ჩავდებდეთ,
თავიდან კარგა უნდა გამოვხშიროთ!

ბასულ წაქს, რომელიც სახეიყო შე- მაშფოთებელი ამბებით, ქართულ საზოგა- დობას ძალზე ღირებული საჩუქარი მი- უძღვნა ცნობილი მთარგმნელმა და პუბ- ლიცისტიმა ქეთევან ტომარაძემ — თარგ- მნა და გამოცემა კატი დადეშქელიანის მემუარების ნიგნი „თავადის ქალი მუნდირ- ში“, რომელზე წვდომაც, დიდი ხნის მან- ძილზე, ბოლშევიკებმა აკრძალულ ზონად გამოაცხადეს. როგორც იქნა, კატი საკუ- თარ ფუძეს დაუბრუნდა.

ველოცავ ქართველ მკითხველს და აქ- ვე უნდა შევნიშნო, რომ უმაღლესი დონის თარგმანია, ხოლო ქეთევანის მიერ თარგ- მნილმა ორჯან ფამუქის „თეთრმა ციხესი- მაგრემ“ ადრეც მოიპოვა აღიარება.

იმდენად შემძრა ეკატერინე დადეშქე- ლიანის ამბავმა, რომ წერილის დაწერა გა- დავეწყვიტე. მკითხველო, შესაძლოა, მოჭა- რბებულ პათოსსა და მრავალსიტყვაობას აღმოაჩენ, მაგრამ ნუ განმიკითხავ, მიიღე როგორც კატის ტექსტით ვულნრფული აღფრთოვანება. ამასთან, ზოგიერთი უნებ- ლიეთ დაბადებული მოსაზრების გაზიარე- ბის სურვილი.

ნიგნს — „თავადის ქალი მუნდირში“ — ახლავს მთარგმნელის ანალიზი: მოთხრო- ბილია ისტორია, თუ როგორ გამოჩნდა მე- მუარები 1934 წელს ლონდონში; დასახელე- ბულია პიროვნებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქართველი ქალის მოგონებების დღის სინათლეზე გამოტანას და, რაც ძა- ლზე მნიშვნელოვანია, მკითხველისთვის დღემდე უცნობი მრავალი სხვა დეტალია წამოწეული ნინა პლანზე. გამოკვლევა ხომ, ამავდროულად, მემუარების ტექსტის სამეცნიერო-ანალიტიკური პრობლემების ანალიზია, გარემოსი, რომელიც მშვენიე- რი ეკატერინე, სვანი თავადის ქალი, იზრ- დებოდა. ამ წრეში გამოვლინდა და ჩამოყა- ლიბდა მისი შეხედულებები და ჰუმანისტუ- რი მსოფლმხედველობა, აღიჭურვა პასუხ- ისმგებლობის გრძობით, ჭეშმარიტების ძიებისაკენ სწრაფვით...

შესაბამისად, ორივე ნაწილი — მემუ- არები და მთარგმნელისეული გამოკვლე- ვა — ორგანულად შეერწყა ერთმანეთს.

ნარკვევში ხაზგასმით არის აქცენტი- რებული ეკატერინეს აღსარების მთავარი ნერვი. კერძოდ, სვანი თავადის ქალის ის- ტორია, რაც, თავისი სიუჟეტური ხაზით, სრულდებითაც არ წარმოადგენს მელოდრამას. ნაჩვენებია, როგორ გამოეწყო იგი მა- მაქაცის მუნდირში და როგორ წავიდა პი- რველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დასაცავად.

კატი დადეშქელიანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს თვითნაბად ტალანტთან...

სვანეთში, კატის სამშობლოში, ამ თვით- მყოფადი რეკონის მოსახლეობა საუკუ- ნოვანი ტრადიციებით ცხოვრობდა. ცასთ- ან მოსაუბრე ყინულოვანი გოლიათების გარემოცვაში მყოფ მოსახლეობას უჭირ- და სრულიად უმნიშვნელო საზოგადოებრი- ვი და ყოფით გადმონათლებთან განმორე- ვა.

უმზისა და თეთნულდის, შხელდასა და შხარას ჩრდილქვეშ ცხოვრება ხალხს უა- მრავ მკაცრ გამოცდასთან შესაბამისად ამზადებდა და განსაკუთრებულ თვისე- ბებს უყალიბებდა, რადგან ეს გარემო სასწავ- ლო სწავლებას უზრუნველყოფდა. „შინიდან უიარაღოდ არ გახვიდე! — შეახსენებენ მთები, — აქ ცხოვრება მოულოდნელობე- ბით არის საფხველი“ ამიტომ თოფი ამ მხარეში კედელზე უმიზნოდ როდი კიდა, დაქანგ- ვა მას არ ემუქრება.

ქეთევან ტომარაძემ მემუარებში ასახუ- ლი პრობლემებისა და მტკივნეული მომე- ნტების ღრმა ანალიზი შემოგვთავაზა, რაც მოგონებების ავტორის მიერ ოჯახში მომ- ხდარი, ზოგიერთი ისეთი იდუმალი, მნიშვნე- ლოვანი იდეის ამოკითხვისა და გახსნის საშუალებას იძლევა, რომელთა გახსნე- ბის სურვილიც, შესაძლოა, საერთოდ არ ჰქ- ონდა და ამიტომ დუმილით გვერდი აუ- არა...

კატი სახელოვან ოჯახში დაიბადა. კარ- ვად ერკვეოდა ფენებად დაყოფილი სა- ზოგადობის ყოველგვარ პრობლემებში, რაც ადამიანებს ხელისშემშლელ, ზოგჯერ დამლუჟველ ანაქრონიზმად მოეგლინებო- და ხოლმე. სწორედ ეს პრობლემები აძ- ლევს საშუალებას ოთარ დადეშქელიანს, წამოიწყოს სისხლიანი თამაში საკუთარი ძმის, ალექსანდრეს, კატის მამის, ნინაღამ- დეე და ინტრიგის ხლართებით გაუნიოს ორგანიზება მის მკვლელობას.



ლილი ბაზოვი

ახალი სახე წარსულიდან

ამ პრობლემებამ ოჯახის სანათესავოს საშუალება მისცა, ბაბილინა და მისი შვი- ლები მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა და მაიორატის ნესით მიეთვისებინა ყვე- ლაფერი, რაც კი ოჯახის მოკლული წვე- რის მიერ იყო შექმნილი და მის კუთვნილე- ბას წარმოადგენდა. მამის განზრახ მკვლე- ლობა კატისთვის პირველი ოჯახური ძალ- ადობა იყო, რომელიც ცნობიერებაზე მტ- კივე ულად აისახა. მიუხედავად ამისა, დამწუხრებულმა ყმანვილმა ქალმა თავი დაიმორჩილა და ბრძოლა დაიწყო სიმართ- ლის დასადგენად ოჯახში, სანათესავოსა და საგვარეულო კლანებთან. ასე თანდათ- ან ყალიბდება კატი დადეშქელიანის ხასი- ათის თვისებები.

თუმცა ოთარ დადეშქელიანის ბინძური მიზნები გაცილებით უფრო შორს წავიდა: მან თავისი რძალი, ალექსანდრეს ქვრივი არა მარტო ოჯახის ახლო მეგობართან ინტიმურ კავშირში დაადასაშუალა, არამე- დ ცილი დასწამა, რომ სწორედ მან, ამ წყ- ვილმა, მოახერხა ალექსანდრეს მკვლელო- ბა. შედეგად ბაბილინა ერისთავმა ორი წე- ლინადი ციხეში გაატარა, უჩა დადიანმა კი — ოთხი წელი. ასე რომ, მამა მოკლუ- ლია, დედა ციხეშია, კატი ოცი წლისაა...

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მო- ახერხებს ადვოკატი კარაბაგევი მისი იდე- ული „მოწმეების“ ცრუ ბრალდებების სა- აშკარაზე გამოტანას.

ბაბილინასა და უჩას გაამართლებენ და ციხიდან გაუშვებენ, მაგრამ ის, რაც ოთა- რმა ჩაიდინა, საქმის მთავარ ნაშთს მწყობს, ისევე როგორც სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ცხვა დადიანს რომელიც გამოდის, რომ ბოროტება არ ისჯება? მა- გრამ სად არის ბალანსი — სისხლი სისხ- ლის ნილ! და აი, ხმას იმალდებს ბაბილინა; მან ორი წელი ციხეში გაატარა, ქალს არ სჯერა არაკეთილთა ბალანსის, რომელიც ხალხმა საკუთარი თავის დასამშვიდებლ- ად მოიგონა, და სწადის გმირულ საქციე- ლს. დამცირებული და ცილისწამებით შე- ურაცხყოფილი, იგი ჭეშმარიტი სნაიპერი- ვით უმიზნებს ბოროტად აყაყანებულ სა- ზოგადობას და მისი „გასროლა“ მიზანს აღწევს: როგორც კი უჩა დადიანი გაამარ- თლებს და გათავისუფლდება, ბაბილინა ერი- სთავმა მას კატეგორიულად მოსთხოვა ცოლად შერთვა.

მემუარებში კატი არაფერს ამბობს მის ოჯახში მომხდარ ამ გამოგონებულ ფაქ- ტზე. ნუთუ იგი განზრახ არიდებს თავს ამ ფაქტს? ჩვენ ეს არ ვიცით. იყო ბაბილინა-

სა და უჩას შორის სასიყვარულო კავშირი? ვერ დგინდება. და ვის წინაშე უნდა ემარ- თლებინა მას თავი? ნუთუ იმ „სულიერი ბნელეთისთვის“, ეს საქმე რომ „შეკერა“, რომელიც იმავდროულად ჭორებით იზ- რდებოდა და იბერებოდა...

მხოლოდ ერთადერთი რამ ვიცით: საქ- მის ტრაგიკულ დასასრულამდე ალექსან- დრე იღებდა ანონიმურ წერილებს, თით- ქოს ცოლი მას უჩა დადიანთან ლალატობ- და. რით არ ჰგავს ეს ისტორია პუშკინის ოჯახის ამბავს?! თუმცა პეტერბურგული დრამისგან განსხვავებით, ალექსანდრე ამ წერილებს ცოლს უწვებდა და ისინი ერ- თად ერთობოდნენ და იცინოდნენ ამ ყვე- ლაფერზე — აი, „მოტყუებული ქმრის“ მთ- ველი რეაქცია! მაგრამ საზოგადოება აგზნე- ბულია, მას სკანდალი სურს, განა ასე არ არის მიღებული? ქმარი უნდა განრისხდეს და გაუსწორდეს გამყიდველ ცოლსა და მეგობარს! ალექსანდრე კი იცინის... რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნუთუ იმას, რომ უჩა დადიანის ურთიერთობა ალექსანდრე

დადეშქელიანის ოჯახთან სრულიად გამჭვირვალე იყო და სხვაგვარად, თუ არა მეგობრულს, ამ ურთიერთობას ვერ უწო- დებდი.

მთარგმნელი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბა- ბილინასა და უჩას შორის ფიქციური ქორ- ნინება გაფორმდა: ის აუცილებელი იყო ქალისთვის, რომლის მღელვარე სული და- მშვიდებდას მოთხოვდა. და იმ დროისათ- ვის ეს გამოგონებელი გამოწვევა შესაძლე- ბელი გახდა, რადგან უჩა დადიანმა, როგ- ორც რაინდული სულის პიროვნებამ, გაი- გო ქალის მდგომარეობა და მხარდაჭერა გამოუცხადა მას. ამით უჩამ განათლებუ- ლი თავადის კეთილშობილება გამოავლი- ნა.

მაღე ახალი უბედურება დაატყდა თავს კატის ოჯახს: კატის დამ, თამარმა, თავი მოიკლა. ოჯახზე ზრუნვა მთლიანად კატ- ის დაანვა. კატი მედგრადა ებრძვის ყოველი მხრიდან მოძალბებულ უბედურებას, მაგრ- ამ გრძნობს, ძალა აღარ შესწევს და ცივი გულითა და გონებით, ესტონელი ბარონის, იქსკულის ვაჟს მიჰყვება ცოლად. თითქოს ყველაფერი აენყო, მაგრამ არა: ჯვრისწე- რის შემდეგ ქმარი ცოლს გამოუტყდება, რომ ის, როგორც მამრი, უძღურია. მაშ რამ მიიყვანა იგი საკურთხეველთან? მამამ აიძულა, ცოლად შეერთო თავადის ქალი საზოგადოების გაკიცხვისგან თავდასალ- ნეევად!.. თავად კატიზე, მის გრძნობებსა და დამამცირებელ მდგომარეობაზე როდი

იფიქრა. ბედისწერის ეს სასტიკი და მოუ- ლოდნელი დარტყმა კატის ცხოვრების ყველაზე სახიფათო მომენტად იქცა...

...სევდიან საოჯახო ამბებთან ერთად ინყება პირველი მსოფლიო ომი. ახლო მე- გობრების ოჯახში კატი ხვდება ფრონტი- დან ჩამოსულ ალექსანდროვს — ეთნო- იკურად ჩერქეზს, „ველური დივიზიის“ მო- ქმედ პოლკოვნიკს, რომელიც ცნობილია როგორც გულადი მებრძოლი. კატის შემ- დგომ ბედზე სწორედ ის ითამაშებს გადა- მწყვეტ როლს.

პოლკოვნიკს ხაგუნდოვს შეძრავს ახ- აღგაზრდა თავადის ქალის უბედურებათა სერიალი და მის მოულოდნელ ვედრებას — დამეხმარე, რომ ბრძოლებში ჩავერთო — მოულოდნელად დათანხმდება. ასე რომ, კატი გამოეწყო ოფიცრის სამხედრო მუ- ნდირში და, ჯერად დადეშქელიანის სახე- ლით, ახალ ცხოვრებას ინწყებს. მართლაც რომ ძალზე გულადი უნდა იყო, ასეთი ნაბ- იჯი რომ გადადგა, მაგრამ მას, ბაბილინას ქალიშვილს, სხვისგან ამ თვისების სესხება არ დასჭირდებოდა, როცა დედა-შვილმა უკიდურესად რთულ წუთებში მიიღო გამო- ნვევა და გადალახა კიდევ რუბიკონი. და აი, კატი ჯარშია, სადაც მას ლაზარეთის ორგანიზება ევალება. თითქმის სამი წელი გაატარებს დასავლეთის ფრონტზე, „ვე- ლური დივიზიის“ თათართა პოლკში.

ახალ სტატუსს კორექტივები შეაქვს კა- ტის პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ შეხე- დულებებში და მის ადამიანურ თვისებებს წამოწევის ნინა პლანზე — ირგვლივ კი ბრ- ძოლები მძვინვარებს. ახალგაზრდა ქალი მრავლად აწყდება სისხლიანი ომის გაშიშვე- ლებულ სიმამირებს და ხედავს უბრალო ხალხის ტანჯვას. შემდეგ დაწერს თავის მემუარებში: „უწინაეს ხომ არანაკლებ დი- დი საშინელებები ხდებოდა...“ მაგრამ საში- ნელება, რაც მან აქ ნახა, ყოველგვარ გონი- ვრულ საზღვრებს გასცდა!.. მისი პასუხი ცხოვრებისეული ზიგზაგების მსხვერველზე რეალობიდან გაქცევას წარმოადგენდა. კატი ხომ ქალია, ის მხოლოდ მამაკაცის მუნდირშია გადაცმული. ამიტომ ომის სე- ვების, ადამიანთა დასახიჩრებული სხეუ- ლები, მათ მიმართ თანაგრძნობა და ომის- ადმი, როგორც გლობალური ძალადობი- სადმი, მისი პიროვნული დამოკიდებულე- ბით, მემუარების ავტორი, შესაძლოა, იმავთ გვერდით დააყენო, ვინც ლიტერატურაში, მხატვრობაში და მუსიკაში ხმა აიმღალეს არა პოლკოვნიკებისა და გენერლების, არ- ამედ უბრალო ხალხის ფიზიკური ტანჯვის წინააღმდეგ.

გამოდის, რომ მოხდა კატის პიროვნე- ბის ფსიქოლოგიური გაორება: როგორ? კა- ტი ხომ მონარქისტი, წმინდა სისხლის თა- ვადი, მას ომში არავინ ეძახდა, ის თვითთვ გადაეშვა ამ ბრძოლაში, რათა რაც შეიძ- ლება შორს ყოფილიყო სამარცხვინო, წარ- უმატებელი ოჯახური ცხოვრებისგან, რი- სთვისაც, ფაქტობრივად, ჩაიტვა სამხედ- რო ფორმა. წყდება ამბის საერთო სტრუქ- ტურის ერთ-ერთი ხაზი, რადგანაც მემუა- რების ავტორის აზროვნება და შეხედულე- ბები ბრძოლის ველზე დღითიდღე იცვლე- ბა. ამიერიდან ის თავის სულში აუშხედ- რება უაზრო სისხლისღვრას. მემუარებში ეს პრობლემა გაუფერდება როგორც კითხ- ვა: ომი? როგორია საკუთარ თავზე ინვინიო ის?!

თომას ლის ცნობილ სურათზე — „მზე- რა ორი ათასი იარდის მოშორებით“ თქვენ მოგჩერებითა ჯარისკაცის თვალები, ცო- ცხალი ადამიანის ფართოდ გახედილი, მკ- ვდარი თვალები... ის ერთ-ერთი სასაკლა- ოზე გაგზავნილი მილიონთა შორის... ოლ- ივერ სტოუნის ფილმმა „ჩახმახის ფეხი“, რომელიც ვიეტნამის ომს შეეხება, ოთხი „ოსკარი“ მიიღო... „გერნიკა“... ოტო დიკსი გერმანულ არმიამი სერჟანტად მსახურ- ობდა პირველ მსოფლიო ომში. თვალის შე- ვლეთ მის სურათს „ომი“ და იგრძნობთ, რომ ყინულოვანმა სიცივემ ავიტანათ; რუხ-შავ ბრძოლის ველზე, გაჩვილ მორ- ზე, ლობადანწყებული გვაში ჰკიდა... ვინ იყო ცხოვრებაში ეს გვამი? არა მგონია, რომ უფროსი... მოკლედ, უსასრულოა ბრ- ძოლათა მსხვერპლი...

რას ფიქრობენ ომსა და სიკვდილზე ტყე- ეები, მთები და მდინარეები, დედაძინის სუ- ლიერი და უსულო არსებები? ნებისმიერი ყვავილი და ფოთოლი, ტოტები და ფესვე- ბი, ქვები და ვულკანები, ფრინველები და ცხოველები, და ყოველივე არსებული პლა- ნეტაზე. გენიალური ქართველი პოეტი მათ

ისეთი სულიერებით ავსებს, ისეთი ფაქიზი გრძობით, დღემდე ადამიანისთვის რომ უცნობია. 1892 წელს ვაჟა-ფშაველამ დაწერა მცირე ფორმის მოთხრობა „ქუჩი“. ეს ბუსუსებიანი მთის ბალახია, რომელიც კლდეზე იზრდება. ნელა იზრდება, თითქმის შეუმჩნევლად, რადგან დიდად როდი იმჩნევენ მაგრად დაჭედული ლოდები და მაღალი ხეები. მაგრამ ის მყისიერად იჭერს ბუნებაში უმცირეს რყევებსაც კი, რომლებიც არც ძლიერ მუხას ესმის, არც ცხოველთა მეფეს და არც ადამიანს...

და ქუჩი გვიზიარებს თავის სადარდელს: „ბოლოს დროს, თითქოს დაეხვიო, დაიშლენ ყველანი. ჯანლი რომ გადაიკრიფა, საღამოხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მიწადრე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტყვით კიდევ. სიღამაზე, შევება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა“...

დაირღვა ბუნების გონივრულ-იმანენტური ნონანსორობა... და როდესაც ეს ხდება, მოგვევლინება მიჩურინი, ვავილოვს კი ხერხეტი...

მაგრამ მივუბრუნდეთ კატის. ის ლაზარეთში თავდაუზოგავად შრომობს. ჯარისკაცებისა და ოფიცრების ნდობით სარგებლობს და ჯარში სახელს მოიხვეჭს. ერთი გამონაკლისის გარდა: გულადი ოფიცერი ჯემალ დადემქელიანი, რომელიც მუდამ მზად არის დახმარებისთვის, უფროსების ყველაზე სარისკო დავალებებს ასრულებს, იშვიათად როდი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში; ქალები მის მიმართ აქტიურ ინტერესს იჩენენ! ის ერთობ მიმზიდველია და შესანიშნავად გამოიყურება...

ეკატერინე დადემქელიანის ფრანგულ ენაზე შესრულებული ხელნაწერი, 1934 წელს ლონდონში გამოიცა ინგლისურ ენაზე. მაშინ ეკატერინე 44 წლისა იყო. დასავლეთში მემუარები „თავადის ქალი მუნდირში“ დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა, როგორც მხატვრული ქმნილება, რომლითაც ევროპელებისთვის ეგზოტიკური მხარის, სვანეთის თავადა, მმართველი წრის წარმომადგენელმა გამოავლინა მწერლური ტალანტი, დოკუმენტური სიზუსტით მოგვითხრო თავის ცხოვრებასა და პირველ მსოფლიო ომზე.

მემუარები არაერთ ღირებულ ცნობას გვანდის კატის ნათესავეებზე, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაზუსტოთ არა მარტო სვანეთის მმართველი წრის გენეალოგიური ხის განმტკიცების და კავშირები, არამედ — აფხაზეთისა და სამეგრელოსი. გვხვდება ცნობები, რომლებიც უსტად ემთხვევა დოკუმენტურ მასალებს, აგრეთვე, სხვა ავტორთა მემუარებს, კერძოდ, ბაბო დადიანის მოგონებებს. კატი წერს ძმებთან, მუშნი და ოთარ დადიანებთან, უცაბდ შეხვედრება, როდესაც დაესტრზე გადადიოდნენ (ორივე ძმა ბაბო დადიანის ახლო ნათესავია. ისინი ბოლშევიკებმა დახვრიტეს საქართველოში 1924 წელს მომხდარი ანტისაბჭოთა აჯანყების შემდეგ. საბჭოთა პერიოდის ვერცერთ ქართულ გაზეთში ვერ შეხვედებით ცხროლოდენ ხსენებასაც კი ამ სისხლიან მსჯავრზე, როდესაც რკინიგზის ვაგონებში გამოკეტეს ხალხი და ზარბაზნებით დაცხრილეს).

ნიგნის დასაწყისში, სადაც კატი სვანეთის ბუნებასა და მის ნიადაგს აღწერს, აღნიშნავს, რომ ამ უხვად მოიპოვება მინერალური წყლები, მაგრამ რუსეთის დახმარება მათ ასათვისებლად უკიდურესად მწირია. მამასა და ქალიშვილს, ალექსანდრესა და კატის, სჯეროდათ სვანეთის განვითარების ფართო შესაძლებლობის.

გამოკვლევაში ექვთიმე ტყეშელაშვილმა გვანდის ცნობას, რომ ალექსანდრე ერისთავი, რომელიც კატის დედის, ბაბილიანს, ძმა იყო, ფლობდა ტყეებს საირემში და სურვილი ჰქონდა, მინერალური წყლები გაეტანა საზღვარგარეთ. მან უცხოეთში წაიღო კიდევ წყალი შესაბამისად და სერიოზული პროექტების განხორციელება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მსგავსი გეგმები ყოველთვის შურსა და ინტრიგებთან არის დაკავშირებული. კატის ბევრი მსგავსი რამ სმენოდა და ენახა. არსაკვირველია, ეს მუდმივი მტრობა არისთავრატისა შორის, შემდეგ კი ნამოყვალყვავებულ რაზნოჩინელებს შორის, ახალი ეკონომიკური სანისების ანარეკლი იყო, გამოძახილი განკერძოებით მდგომ წრეში, რომელიც საკუთარი საზოგადოებრივი კანონებითა და ყოფითი რეალობით ცხოვრობდა.

კატი დადემქელიანი



თავადის ქალი მუნდირში

კატი წარმატებით ეხმარებოდა მამას სატყეო საქმიანობაში, ოცნებობდა მასთან ერთად აქციებინა სვანეთში საზოგადოებრივი საავადმყოფო სრული აღჭურვილობით, სადაც ყველა ფენას, განსაკუთრებით ღარიბებს შეეძლებოდათ მკურნალობა. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ ის უკვე სიყმაწვილის წლებიდან სოციალურად აქტიურ პიროვნებად ყალიბდებოდა. ისეთები, როგორც კატია, საქართველოსთვის უკიდურესად საჭირონი იყვნენ მაშინაც და ახლაც უზომოდ მნიშვნელოვანია მათი ყოველგვარი ძალისხმევა, მაგრამ ქვეყანამ მრავალი მათგანი დაკარგა ბოლშევიკური რევოლუციის პირობებში, მაშინ როდესაც ყველანი საქართველოს აღორძინების რეალურ ძალას წარმოადგენდნენ... ამ ქვეყნის წიაღისეული — მარტო მარგანეცი რად ღირდა! მისი ბუნება, მის ჯერ კიდევ შეუცნობელ ფართო შესაძლებლობებს შეეძლო, ეკონომიკური სასანაული მოეხდინა, მაგრამ დავივიწყეთ ეს ტრაგიკული პერიოდი, რამაც ხერხემალში გადატეხა ქვეყანა და უძვირფასესი გენეტიკური ფონდი გაუნადგურა.

პერიოდი, როცა იზრდებოდა და ყალიბდებოდა კატი, ეპოქის დასასრულს დაემთხვა, რაც სხვა დასაწყისის მაუნყებლად იქცა, როდესაც რაზნოჩინელებმა წამოყვეს თავი. ისინი ჯერ კიდევ ვერ შეუხარდნენ ნიადაგს, ვერ მოასწრეს ფესვების გადგმა, რომ მალე ქარიშხალი ამოვარდა, შეიყვანა და დაემხო უჩინოდ წესები, და ნიკოლოზ მელიორ თან დაიწყო უფსკრულში იმპერიის ერთიან, რამდენადმე მოქმედ სტრუქტურებთან ერთად...

აღსანიშნავია, რომ ოფიცერ „ჯემალ დადემქელიანის“ მსახურების სწორედ ბოლო პერიოდი უფროსობა მას აგზავნის ფსკოვის რაიონის სტანიცა დონო, სადაც, როგორც ცნობილია, ნიკოლოზ მელიორ დადგა. ნინ იყო ბრესტის სამშვიდობო მოლაპარაკება, ლენინი, ტროცკი და ყოველგვარი ბოლშევიკური საქმეები. მაგრამ ჩვენ ამაზე როდი ვსაუბრობთ: თავად ის ფაქტი, რომ უფროსობამ ჯემალ დადემქელიანი აგზავნა სტანიცაში ასეთი საბედისწერო სახელწოდებით, გვაიძულებს, დავფიქრდეთ მრავალ ისეთ მოვლენაზე, რასაც გონებით ვერ ახსნი: სტანიცა დონო იმ ადგილად იქცა, სადაც თითქმის ერთდროულად იმყოფებოდნენ დაწყვეტილი მეფე და მისი ერთგული, მონარქისტი ეკატერინე დადემქელიანი. ხომ ცნობილია, რომ სწორედ ამ მეფის განკარგულებით ქალებს ეკრძალებოდათ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა (მონაწილების დების გარდა), რამაც კატი ასეთი მოულოდნელი და საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისკენ შეაგულანათა. სამხედრო ოფიცრის ფორმაში გამოეყვო და ფრონტს ეწვია. თავად მეფისთვის კი სწორედ ეს დნო იქცა საბედისწეროდ. მოკლეული სამეფო ოჯახისა და მათთან ერთად მყოფ დაახლოებულ პირთა გვამები ღრმა შახტში ჩაიყრება. კატის კი ხანგრძლივი სიცოცხლე არგუნა უფალ-

მა და ის, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ემსახურებოდა ობოლ და ავადმყოფ ბავშვებს „წითელი ჯვრის საზოგადოების“ ეგვიდით. სამწუხაროდ, კატის ცხოვრების უკანასკნელი დღეები მის სამშობლოში უცნაურად დაემთხვა სწრაფწარმავლობას, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რომ იცვლებოდა. 1921 წლის თებერვალში კატი, დედასთან ერთად, სამეგრელოდან თბილისში ჩავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში ბოლშევიკები შევიდნენ. კატის მემუარებში ვკითხულობთ: ჩვენ სამეგრელოში ვეღარ დავბრუნდით, სასწრაფოდ დავტოვეთ თბილისი და ბათუმში გავემგზავრეთ. ჩემი და, ნინა 1919 წლიდან საფრანგეთში იმყოფებოდა. ეს იყო ჩვენი ემიგრაციის დასაწყისი...

13 მარტს ისინი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. შემდეგ კატი წერს: აქ, როგორც მეკავშირემ, საფრანგეთისა და ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოებებს უმეტესე შევთავაზე დახმარება და ოთხი თვე კეთილსინდისიერად ვიმსახურე.

მაგრამ მოხდა უბედურება: კატისა და ბაბილიანს მანქანა დაეჯახათ. დედა დაიღუპა, კატი ძიმამ მდგომარეობით საავადმყოფოში აღმოჩნდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მან კვლავ იშოვა სამსახური.

— მე ერთი დღე არ დავრჩენილვარ უმეუფარი, — აღნიშნავს ის მემუარებში.

საბჭოთა ეპოქაში კატი დადემქელიანის მემუარები ქართული საზოგადოებისთვის უცნობი რჩებოდა. საბჭოთა საქართველოში მისი ნაკითხვა მხოლოდ დიდ ფუნქციონერს შეეძლო. ამიტომ სამშობლოში ვერავინ გამოვიდოდა კატის ხსოვნის დასაცავად. ეს ძალზე სამწუხაროა, რადგან, როგორც ნიგნის ნარკვევშია აღნიშნული, კატის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს, გამოჩნდა ლიტერატურული ვერსიები, რომლებიც მის მოგონებებს ეფუძნებოდა და რომლის დედააზრიც ისე იყო დამახინჯებული, რომ კაცი ვერ იცნობდა. ასე რომ, რაც წლები გადიოდა, შეხედულება კატის მემუარებზე იცვლებოდა: სხვადასხვა ფემინისტური ორგანიზაციების ობიექტივში მოხვედრილი მისი მოგონებები და ბიოგრაფია სუბიექტურ-მსოფლმხედველობრივ შეფერილობას იღებდა და სხვადასხვა სუბკულტურული ვერსიები იქმნებოდა.

შესაძლოა, გარკვეული ეპოქა დასრულდა და ჩიხის მაუნყებელი რაღაც „შავი კვადრატი“ გაჩნდა, შავი ღრუბლები გაიხსნა და რაღაც ახალმა გამოიჭყიტა, ავანგარდმა, რაც ამერიიდან სწორედ ის იქცევა წამყვან მიმართულებად და დიდ ინტერესს აღძრავს, რამეთუ ახალი მსოფლაქმის მოთხოვნების ლიფტს ვერ გააჩერებ, ის სულ ზევით და ზევით მიიწევს, მას არა აქვს საზღვარი...

მსგავსი ისტორია ფრიდრიხ ნიცშეს დამართა მისმა მკვიდრმა დამ, ელისაბედმა. მამის ავადმყოფობით ისარგებლა, მალე ნიცშეს გარდაიცვალა და იგი დიდი ფილოსოფოსის მემკვიდრეობის მფლობელი გახდა. ძმა შურისმაძიებელ ანტისემიტსა და უეიცს უწოდებდა. თუმც მან მშვენივრად იცნოსა, რა სარგებელი შეიძლებოდა მიეღო ძმის იდეიდან, თუკი ნაცისტებს მარჯვედ მიანდებდა. და აი, 1930 წელი, 84 წლისთავზე ის საზოგადოების წინაშე წარდგება როგორც თავგადაკლული ნაცისტი და საკუთარი რედაქტორობით იწყებს ნიცშეს ნიგნების გამოცემას. მისი დამახინჯებული აზრი ახლოს მივიდა ფიურერის კართან, შეეცადა მის თეორიაში და „ზეკაცის“ იდეად გარდაქმნილი, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში პროგრამულ საწყისად იქცა. სამწუხაროდ, მოხუცი ელისაბედი ვერ მოესწრო ნიურბერგის პროცესის სკამზე დაჯდომას...

გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნის გამოყენება დადემქე არ არის დაცული არავითარი სამართლებრივი მექანიზმებით. სამაგიეროდ, „მემოქმედებითი სიბერეები“ ფართო ასპარეზს პოულობს. ისინი ცინიკურად გარდაიქმნებიან აგრესიული ხასიათის ახალ მოვლენად, წარმოგვიდგებიან როგორც „სუბკულტურა“. ცხადია, არც ისე იშვიათად, სხვა იდეოლოგია იღებს მნიშვნელოვანი კულტურული მიმართულებების ნიშნებს, შემდგომში დამოუკიდებელი განვითარების პურსპექტივით. მაგრამ ფსევდომიმართულებათა უნაყოფო არსს არა აქვს არავითარი საერთო არც სუბკულტურასთან, არც კონტრკულტურასთან — ეს

მხოლოდ და მხოლოდ მაქინაციაა, ცარიელი სიტყვები და ტყუილი.

ჰარინგტონმა მარტივად მოიგო მკითხველის გული: მან ეკატერინე, ორი გიორგის კავალერი გადააქცია ატეხილ, სექსუალურად შეფიქრიანებულ ქალად. და დუბლინის პრემიასაც მიუახლოვდა. რასაკვირველია, ჯეიმზ ჯოისის ქვეყანაში მან ის ვერ მიიღო, თუმცა პროექტორის განათებაში მოხვდა — ესეც ხომ საქმეა!

მაგრამ ჰარინგტონს ეხმანება ჰოლანდიის მეგობარ მწერალთა ამქრიდან ერიკა ბლოკი. იგი წერს პიესას — „სიარული ოსპის მარცვალზე“, რომელიც შევიდა კრებულში „სახელწოდებით „სუბვერსიები“. თამაში ისტორიებით ქალთა თეატრში“. ავტორი ღიად ასახელებს მუნდირში გადაცმული ოფიცრის, „ჯემალ დადემქელიანის“, სახელს და მას ქალთა გულთამპყრობელად და ლოველასად აცხადებს. რატომაც არა? ხომ ყველაფერი ნებადართულია. მითუმეტეს, რომ ასეთი „პროდუქცია“ ზედაპირზე დევს, აიღე, ხელი ჩასჭიდდე!.. და კვლავ: რა ვუყვით ადამიანის უფლებებს? მოკლედ, ნაპოლეონის ეპოქაში შევრჩინდით... დარჩა გაბერილი იდეები, რთული სიუჟეტები, ცილისწამება. საყვარული არ არის. არის მხოლოდ სექსი. არა ადამიანის სექსი, არამედ — გენდერიზმი. ესეც ლამაზია, მაგრამ კატი? ეგებ ბოდიში მოიხადონ მისი ხსოვნის წინაშე და გაასუფთაონ გაბინძურებული მარმარილო? მაგრამ ბოდიშს არავინ მოიხდის, დისკუსია კი სხვადასხვა სინთეტიკური ტერმინებით გავრძელდება...

ქეთევან ტომარაძე წერს, რომ „გენდერული რევოლუციის“ იდეოლოგები, კერძოდ, ფილოსოფიის დოქტორი იუდიტ ბატლერი, ისე გაიტაცა თავისმა აზრებმა, რომ თურმე ქალად და კაცად კი არ იბადებიან, არამედ თითოეულში „სოციალიზდებიან“. ამან სერიოზულად დამაფიქრა — ასეთი რამ, ვისაც გინდა, იმას შეაფოთებს, გვირ კოსმონავტსაც კი. ჩვენ კი ფიქრობდით, სიმსუქნის, ონკოლოგიისა და სხვა უბედურებებისთვის ბრძოლა გამოგვეცხადა! მაგრამ არა; გენდერიზმი და მთელი მსოფლიოს ქალთა და მამაკაცთა გენდერიზაცია! აი, რაზე უნდა იმსჯელოს კაცობრიობამ, რომელსაც, ჩანს, სხვა საზრუნავი არ გააჩნია! ჯერჯერობით კი — სასამართლო და საქმე. ახალი ცხოვრებისეული ღირებულებებით ადებუბები ვეროპაში ქმნიან ორმოც გენდერისტიტუტს... და ყველას — ერთსა და იმავე თემაზე.

მაგრამ ეკატერინეს მემუარებში სულ მცირეოდენი მინიშნებაც კი არსად არის მისი სექსუალურ გადახრაზე. მისი გონება სულ სხვა აზრებით არის დაკავებული. აი, მაგალითად, თუნდაც ასეთი: სამეგრელოში, დედის მამულში, სადაც ის ბაბილიანსთან ერთად რაღაც დროით ჩადის, გლახებს დედა და ქალიშვილი არაფრისმაცნისი ეგონათ. კატიმ გადაწყვიტა, მათთვის ეჩვენებინა, არ მასალით არის შექმნილი. ქალბატონმა ხელები დაიკაპანა და მუშაობას შეუდგა. გადაწყვიტა, მეურნეობა მოეწყო ზოგადი აგრონომიის სახელმძღვანელოს დახმარებით, რომელიც სვანეთიდან ჩამოიტანა, მიწა დაბარა, ბოსტანი გააშენა, სალორე ააშენა, შაშხი გამოეყვანა, საპნის მონარშვას დაუფელა და მრავალი სხვა რამ გააკეთა. აი, ის სვანეთშია, თავის მშობლიურ მხარეში: „კიდევ ერთი თვე დავყავი ეცერში. არ მინდოდა გლახებთან განშორება, რომლებმაც მთელი სულითა და გულით მიიღეს. სიამოვნებით გავატარებდი აქ სიცოცხლის დარჩენილ დღეებს და სულაც არ ვიფიქრებდი ცვილიზაციაზე, რომლის მთელი მშვენიერება, თუკი მისი ღირებულებებით ვიმსჯელებთ, ნულს უტოლდება...“

აი, მისი ინტერესები და მისი პასუხი ცილისწამებლებს, რომლებმაც მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ხსოვნა შერყვნეს.

წერას ვასრულებ ამონარიდით გრეის უორენის სტატიიდან — „პირველი მსოფლიო ომის დიდი მოთამაშეები“ — რომელშიც იგი ეკატერინე დადემქელიანს ახასიათებს არა მხოლოდ როგორც პიროვნებას, რომელმაც წვლილი შეიტანა საბრძოლო ოპერაციებში, არამედ როგორც მოღვაწეს, რომელმაც ახალ სიმალეზე აიყვანა ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძნელია, უკეთესად თქვა, ანდა რაიმე დაამატო...



ვანო ჩხიკვაძე

მოდის მატარებელი

არქარაშვიტი მიმავალ ადამიანს რომ დაეინახავ, სულ მგონია, მატარებელზე აგვიანდება და ვნატრობ, მიუსწროს, ბოლო ვაგონს მაინც შეახტეს, სახელურს ხელჩაჭიდებულმა ტამბურში შეიარაქათოს და თავის გზას ეწიოს.

რატომ, მაინც და მაინც, მატარებელზე? ხომ შეიძლება ტრანსპორტის სხვა სახეობაზე აგვიანდებოდეს, ავტობუსზე, გემზე, თვითმფრინავზე...

არა, მხოლოდ და მხოლოდ მატარებელზე, უთენია, შორეული მოსახვევიდანვე რომ მოკვილებს ქალაქის სადგურს და, მწვანე ვაგონების რწევა-რწევით, ბუფერების ხრჭილით, პერონზე შემოდგანდგარდება.

ეს განწყობილება ბავშვობიდან მომდევს — სადგურისკენ გაჭრილი ქუჩა მამლის ყვილიამდე ახმაურდებოდა ხოლმე, ხმადაბალი გადალაპარაკება, ურიკების ხრჭილი ან ფეხის ხმის ჩქამი, სიბნელეში ერთმანეთს გაჯიბრებული ნაბიჯები... აბა, რომელი რომელს გაასწრებს!.. მიდიან, მიდიან, მიდიან დაუსრულებლად, გაბმულად, ინელუბიან, ბევრდებიან როგორც მავთულზე დაცურებული წვიმის დიდრონი წვეთები... გაიგონებენ მოახლოებული საგზავროს ელმავლის კვილს და უფრო აუჩქარებენ, თითქოს ვინმე მისდევდეთ, მირბიან, სადგურთან დამაკავშირებელი, ოვალური ხიდის მეორე ბოლოში ეშვებიან, იკარგებიან...

ესეც სადგური, განათებულ ბაქანთან ჩამომდგარი მოძრაი „კედელი“...

შეისრუტავს მატარებელი მგზავრებს. ზარს ჩამორეკავს ნითელქუდიანი სადგურის მორიგე.

შეტოკდება „კედელი“, თითქოს ცოცხალმა რიგმა გაითვალა, პირველი, მეორე, მესამე... მეხუთე... მეოთხე... ბიძგებით შექანებული ვაგონები თანდათან სიჩქარეს აკრეფენ.

ვიღაც ან ვიღაცები ჩამორჩებიან, ვერ მოასწრებენ, მატარებლის კუდს თვალს შორიდანლა მოჰკრავენ და შემურდებათ იმათი, ვაგონებში რომ შეილაღნენ, აახმაურეს იქაურობა, გნისათ შეაწუხეს უკმაყოფილო, თვლემამი ნასული დამხდურები, არცთუ დიდი ხალისით სკამებზე რომ მიინმონინეს, ახალამოსულებს ჩაუჩოჩეს, ადგილი დაუთმეს.

მახსოვს, ერთმა ბავშვმა სტუმრად ჩასულ დეიდას უთხრა, როგორც მატარებელი, ისე მიყვარხარო.

მანამდე, დეიდის მკლავებში განაბულმა, ბევრი იფიქრა, იცი როგორაო, იცი, როგორაო... ჰოოდა, რაც ყველაზე ძალიან უყვარდა, იმას შეადარა.

„მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი, მოჰყავს მასწავლებელი, შემოვიდა კლასში დავეუკარიტ ტაში“...

რალაც ამდაგვარი ლექსიც მახსენდება.

არ ვიცი, მხოლოდ რითმის გამო დაუნყვილა „პოეტმა“ მატარებელს მასწავლებელი თუ მართლა მოჰყავდა, ლექსის ავტორთან, გულის გამხარებელი პედაგოგი.

ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ბედნიერება არ მქონია — ჩემი დაწყებითი კლასების მასწავლებელი სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, მეზობელი ჩიხიდან მოდიოდა.

ამიტომ, მატარებელი კი არა, ველოსიპედიც არ სჭირდებოდა.

კარს როგორც შემოაღებდა, ტაშით არა, მაგრამ ფეხზე ადგომით კი ვხვდებოდით.

პირველი კლასიდან მოყოლებული, ჩემს წარმოდგენაში, როგორც ქალბატონ თამარს, ყველა მასწავლებელს, მკერდზე მიხუტებულ ჟურნალზე მარჯვენა ხელი უნდა ჰქონოდა მიფარებული და, შუა თითზე საქორნიო „კალიცო“ ჰქვებოდა. ამ ერთადერთ სამკაულს, თამარ „მასნი“, ხელიდან მოუცილებლად, მთელი ცხოვრება ატარებდა და წელთა სელასთან ერთად, როგორც პატრონის თითები შედიოდნენ ასაკში, ბერდებოდნენ, ჭკნობა ეპარებოდათ, ისიც თხელდებოდა, ილეოდა, წვრილდებოდა. თანდათან კარგავდა ძველებურ სიკამკამეს.

შეხედავდი და გუჟამით გრძობდი, ვინ იდგა შენ წინ.

სამკაულიც მხოლოდ პატრონის გათხროვებს კი არა, თითქოს მეუღლისა და ოჯახის ერთგულებაში განვლილ ცხოვრებასაც ადასტურებდა.

ნეტავი დღეს როგორ ხვდებიან მოსწავლეები თავიანთ „გულის გამხარებელს“ — იმედია, ოვაციით, არც ესენი შეეგებებიან, მატარებელმა კი არა, თუნდაც საპლანეტათშორისო აერობუსმა ჩამოუყვანოთ.

არც არის აუცილებელი, ტაში თეატრისათვის, წარმოდგენის ფინალური სცენისთვის შემოინახონ, მაგრამ საინტერესოა, როდესაც კლასში შებრძანდება, გული თუ აუჩქარდებათ მაინც, როგორც ჩვენ, მაშინ, არცთუ შორეულ წარსულში, როცა გვეგონა, რომ მასწავლებელი არც სვამდა, არც ჭამდა...

რატომ ვფიქრობდით ასე, რატომ უნდა ყოფილიყო ერთი შეხედვით ყველას მსგავსი, ჩვეულებრივი ადამიანი, განსხვავებული და განსაკუთრებული, ყოველდღიურზე ამალღებული, მიუწვდომელი, შემკული ისეთი ღირსებებით, რომელიც სხვას არავის გააჩნდა დედამისის ზურგზე?

პოზა და პორტრეტი — თითქოს ფიცს დებს, ბეჭდიანი მარჯვენა ხელი საკლასო ჟურნალზე უდევს, სადაც ჩვენი გვარ-სახელებია ლამაზი კალიგრაფიით ჩამონიკნიკებული და მკაცრი, მშობლიური მხერით რომ გვამონებს, მზად ვართ თუ არა, მის მოსასმენად გონების კარი გავაღოთ.

ნეტავი დღევანდელი, მობილურებზე უგონოდ გამოჯნურებული, „ჩაციკლული“ პატარები თავს თუ ასწვენენ, თუ აიხედავენ მალა, თუ იგრძნობენ მათ დღევანდელ „გულის გამხარებელს“, როგორი ძალისხმევა სჭირდება, გარეთ რომ დატოვოს თავისი გაჭირვებული, ცხოვრების მრავალსახოვანი და მრავალნახნაგოვანი პრობლემები და...

აჰა, რაზე ვსაუბრობდით და სად მოვედით!

რა ვუყოთ, ჩვენც ხომ ერთი, საერთო ცხოვრების „მატარებლის“ მგზავრები ვართ!

ეს „მატარებელი“ ყველა დიდ და პატარა, მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ბაქანზე ჩერდება...

ჩამოვდივართ, მივიხედ-მოვიხედებით, მოშვებულ ონკანს მუჭით პეშვ წყალს გამოვტაცებთ და, რომ არ გავგვასწროს, ისევე ჩვენი „ვაგონსაკენ“ გავრბივართ.

არ ვკითხულობთ, სადამდეა ჩვენი „მგზავრობის“ ბილეთი, „მატარებელს“ სამუდამოდ რომელ გადასარბენზე, როდის დავეშვებოდებით. კიდევ ვიკითხოთ, ვინ გვეტყვის, განა ბედის მწერალი ეგრე ადვილად გამოსატყვია? ამის უნაყოფო ძიება რას მოგვცემს?

არც არის საჭირო, რაც მთავარია ვიცით, რომ ცხოვრება ჩვენამდეც იყო და ჩვენს შემდგომაც გაგრძელდება...

მაშასადამე, „გულის გამხარებლის“ მოლოდინიც სულ ექნებათ, პატარებსაც და ბავშვობაში „ჩარჩენილ“, მეოცნებე დიდებსაც.

ვიდრე ვართ, „მოდის მატარებელი!..“ ჯერჯერობით, მოდის!

საოცრება

„უსახლკარო“ მანანალების ხეირი თუ უპირატესობა, დანარჩენებთან შედარებით, ის არის, რომ შინიდან გარეთ გაუსვლელად, ცას, როდესაც უნდათ, მაშინ შეხემეტეს მაშინ რა შეედრება, თუ ცარგვალი მოკიფე ვარსკვლავებით არის მოჭედული.

სოფელში მეზობელი გვყავდა, კიკუნა — იმის ჯალაბსა და მოდგმას კიდევ კიკუნაანთ ეძახდნენ.

ჩია, გამხდარ, შრომით ბეჭებში მოხრილ, თხელ პირსახიან კიკუნას, ფრთხილი,

მსუბუქი ნაბიჯებით, თითქოს რალაცას რომ ეპარებოდა, მართლაც, სხვა მეტსახელი არც უნდა რქმეოდა.

თვინიერი, დამჯერი, თავისავით უპრეტენზიო, ერთგული სახედარი ჰყავდა.

უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ, რომელიმეს ცალკე თუ ნახავდნენ, უეჭველად მეორესაც მოიკითხავდნენ, ძმაკაცი სადა გყავსო.

სახედარს დიდრონი, ნაღვლიანი თვალები სიბნელეშიც კი ცრემლით დანამულივით უბზინავდა.

სოფლის შარაზე და მინდვრებში, ხელნებშორის ჩამდგარი მიაჭრიტინებდა ჭარხლითა და თივით დაზურგულ, ბორბლებდაუხეთავ „ტაჭკას“.

ერთხელ, კიკუნასა და სახედრის წყალობით, მეც ჩავხედე თვალეში ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას.

ბიძაჩემთან ერთად, მინდვრიდან მომავალი, კიკუნამ თივით დაზვინულ ხელურემზე შემასკუპა.

გულალმა, ზაფხულის სიცხით მოთენთილ ბალახზე გადნოლილი, უცებ, თვალწარმტაც საზღაპრეთში აღმოვჩნდი.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ „მოდარაჯე“ კაცის თვალს „ცაში, შეიძლება, ანგელოზი დაენახა“.

რომ რომელიმე, ციციქნა პლანეტაზე, კიდევ უფრო ციციქნა, სევედიანი, პატარა უფლისწული ცხოვრობდა.

რომ მზესაც ჰყავდა დედა, რომელიც შვილს, ცარგვალზე, ისე არ გამოუშვებდა — უთენია პირს ბანდა და, ეს ნაბანი, ყველაფერს დილის ცვრად ეპკურებოდა ხოლმე.

რბილ საურმეზე მიმავალი ორთავალა აქეთ-იქით მარწევდა, ჩემთან ერთად მცირე და დიდი ვარსკვლავებიც მოძრაობდნენ, ირხეოდნენ, ილიმებოდნენ, რალაცას ჰყვებოდნენ, მერე, მათი მწკრივების ლაბირინთში, გაკრული ასანთივით რალაც გაკამკამდებოდა და ცეცხლოვანი კუდის ქნევით ცის დასალიერში ქრებოდა.

ეს იყო ჩემი პირველი, ფერადი, სამუდამოდ დასამახსოვრებელი, ანიმაციური ფილმი.

ურმის ჭალს ხელჩაკიდებული კიკუნა და ბიძაჩემი საუბრით მოდიოდნენ, გზას ჩაჩერებული სახედარიც ბეჯითი, კმაყოფილი თავის კანტურით მიაბიჯებდა და, ალბათ, თვალმით უშებში ჩამდგარი მზის ნაბანივით ცრემლით უბზინავდა.

ვიცი, როგორც არ უნდა მოვიწოდო, უკან ვერასოდეს ველარ დავბრუნდებით, ვერც მე, ვერც კიკუნა და ბიძაჩემი და, რა თქმა უნდა, ვერც — სახედარი.

ანდა რალა საინტერესოა, ილამინდელ საოცრებას, სასწაულის ძალამ, კიდევ ერთხელაც რომ მაზიაროს, განა იმედგაცრუებული ხელს არ ჩავიქნევ?

— ეს ხომ უკვე ვნახე!

განვლილი სიცოცხლეც ასეა, რაც უკვე ნახე, თავიდან რომ გამეორდეს, ვიდრე ბოლოში გახვალ, შეიძლება მოწყენილობისაგან მთქნარებაც კი აგიტყდეს... მორჩა და გათავდა!

ერთხელ გათოხნილს უკან ვილა მიუბრუნდებოდა..

უფრო საინტერესო იქნება, თავის დროზე, აქაურობას, ზეციური აივნიდან თუ გადმოვხედავ და ხელახლა ვიხილავ:

ზაფხულის აღმურჩამცხრალ შებინდებულში, ჭრიტინების ორკესტრი, როგორ მიაცილებს მინდორში აჭრიალეზულ ორთვალას, დაზვინულ თივანზე გულალმა მწოლ, თავვეშვ ხელეზამოდებულ, მეოცნებე ბიჭს, ურმის ჭალს ხელჩაკიდებულ, მობაასე კაცებს და დინჯი ნაბიჯით მიმავალ ვირუკას.

იმ სახედრის შთამომავალს, თავად იესო ზარ-ზეიმით რომ შეაბრძანა იერუსალიმში.

ამაზე მეტი საოცრება, იქიდან აქეთ, სხვა რა უნდა დავინახო!

მამწვანილი დედაბრები

ასეააა დედაბრები თანდათან მოილივნენ, როგორც მოილევა ხოლმე ხახვის კვალში მწვანილეული — ოხრახუში და ნიახური, ქინძი და ქონდარი, კამა, რეჰანი, გადაუვლის წვიმებით განებფრებული ღიჭა, გადაეფარება მათიტელა ბალახი შემოდგომის მიმწუხრისკენ მიმავალ ბოსტანს... მდინარის ნაპირის გაყოლებაზე, სახელდახელო ბაზრობის მწკრივის ბოლოში,



შავი, გახუნებული ქოლგის ქვეშ შეყუყულებული სხედან. შეუკრავთ ქაშმირის (ისინიც გახუნებული) კაბების ყურთაჯები, ერთმანეთს ეტუტუნებიან და ბაასს მხოლოდ მაშინ შეწყვეტენ, თუ ერთი უსახური, ყვითელი პრესის გაშლილი გახეთის ფურცლებზე დალაგებულ მწვანეხედილ „დახლს“ ვინმე დახედავს, დაიხრება, საკერავი ძაფით გაკოჭილ ოხრაბუმს ან კამას ხელში შეატრიალებს... დახედავს, მაგრამ თვალი ძნელად თუ შეუგორდება ჭკნობაშეპარულ ღერებზე, ნაგერალი ხახვის კონებზე, მიტკლის პარკში ნახევრად მოყრილ, შარშანდელი და იმის წინანდელი, გამოფშუტული ასკილის მარცვლებზე... ჰო, ერთი წველა ყველის კვერიც უდევთ, დანის წვერით გვერდგამოკეჩილი — ეტყობა ვიღაცამ დააგემოვნა, მაგრამ ფასის ანდა ხარისხის გამო დაიწუნა და აღარ შეიძინა.

„რაც შენ ბინდა...“

რამდენად გაუსწრო „რ-მ“ თავის დროს, როგორც რეჟისორმა, ამის ანალიზი შორს წაგვიყვანს.

როცა გაკვალულია გზა, გაკაფულია ტვერი, დაძლეულია ციკაბო და აღმართი, ბევრს ეიოლება, აცდუნებს იმავეს გამეორების ხიბლი, დაეჭირმარჩებინა ხოლმე საჯილდაო ქვას, მაგრამ „პირველმოქმედის“ ნიჭიერების საფანელი არ ყოფნით და, უკეთეს შემთხვევაში, ენერგიულ მიმბაძველებად რჩებიან.

ჩაიარა კიდევ ერთმა თეატრალურმა ფესტივალმა და, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მცირე ნაწილის გარდა, არაერთი სახელოვანი თეატრის დასის დიდება წარსულში ჩარჩენილა, თავისთავი დაუკარგავს და, ვითომ სიახლის ძიებაში, თუ უკვე მოძიებული ხელახლა გადაძლევებაში, ისეთ რამეს გვთავაზობს, რასაც, ყველაზე ნაკლებად, თავად თეატრთან აქვს საერთო — დამძლეული ტრიუკები, „ფერადი“ ერთფეროვნება, სერიოზული სცენისთვის უკადრისი, აღვირახსნილობაში გადასული უხამსობა, უნაყოფო ოფლის ღვრა და უნაყოფო შრომა, თავისი ადეკვატური შედეგით.

ის რა წიგნია, ხელმეორედ წაკითხვის, ან რა სპექტაკლი და ფილმი ხელახლა ნახვის სურვილს რომ არ გაგიღვიძებს?

ამდენი ფალსიფიკატორი წიგნსა და ხელოვნებას არ ჰყოლია. მეგონა, ქართული თეატრის ღრმა და ღონიერი კალაპოტი თავსმოხვეულ ცვლილებებს გაუძლებდა და გეზს არ შეიცვლიდა.

ამ ფესტივალიდან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა, მცირე გამონაკლისის გარდა, ზოგადად, საით მიდის თეატრი?

ანდა, გზისა და მიმართულების სწორ არჩევანზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, მიდის კი საერთოდ?

— ნუ იყიდიან, რა, განა ჩემ შვილიშვილებს კი არ მოჭარბებიან, უკან წავიღებ, მე შენ გეტყვი და მადას უჩივიან! — ამბობს ერთი და გაღიმიებული, უკბილო ყბებში, ტუჩის კიდევები შეუვარდება.

— მაშა, ქალო, ჩემებმაც, თითქოს ჯიბრზე, ამ გაჭირვებაში უფრო მოუმატეს ჭამას! — კალთაზე ვითომ ხუმრობით ხელს ჩამოჰკრავს მეორე.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი შეჩერდა, დააკვირდა გახეთზე გაშლილ მწვანეხედილს, მერე მისნი-მოსნია კონები, რას ათვალიერებს ვერ გაიგვს ქალებმა.

— არ მოგწონს? — ამოხედა იმან, ქოლგა რომ ეჭირა.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ, — გახეთს ძლივს მოსწყვიტა თვალი მუშტარმა.

— იყიდე, შვილო, იფადა მოცემთ!

— ვიყიდე, მაგრამ მონამლული იქნება!

— რას ამბობ, მწვანელს როგორ მოვნამლავთ! — შეიცხადეს დედაბრებმა.

— თქვენ არა, მაგრამ, აი, ესენი, — თითი დაადო პოლიტიკოსების სურათებით და მათი ძვირფასი გამონათქვამებით გადაჭედელ გახეთის ფურცლებს, — იმდენ შხამს და სამსალას აფრქვევენ, არც მწვანელს დააყრიდნენ ხეირს!

ორივე დაიბნა, ხან გახეთს დააცქერდებიან, ხან ეშმაკურად გაღიმიებულ მყიდველს ახედვენ და ხანაც მის კეფაზე მომდგარ შუადღის მზეს, ხომ არ დააყუილაო.

ისე, გაავებული ნაგაზებზე, ერთმანეთის სიძულვილით ადგზნებული, გაზუღუჭებული სახეებისთვის რომ დაგეხედათ, მწვანელს, ქალებისაგან, არც თქვენ შეიძენდით.

არადა, რათა, ადამიანო, უწყინარმა დედაბრებმა რა დააშავეს, მინა დაუკვალიათ, დაუფოცხიათ, დაუთესიათ, მოუყვანიათ, გაუმარგლიათ, მოურჩევიათ, დაუკონიათ, ძროხა კიდევ მოუწველიათ, რძე მოუყველებიათ, შრატინდან ამოუყვანიათ, მარილწყალში — ნათხში „დაუმწიფებიათ“, ჩამოუტანიათ, კობტად ჩამომსხდარან ბაზრობაზე, ნარეკალზე შემჯდარი სკვინჩებივით...

ამათ რა დააშავეს-მეთქი!

ალბათ, დააშავეს!

ახალგაზრდა კაცი გზას აგრძელებს, ქოლგის ქვეშ ტოვებს ილიას პეტრესავით გაკვირვებულ, ხელეხასავსებულ დედაბრებს.

სცენაზე ნანახი და მოსმენილი მხნობას მატებდა, გაძლების ენერგიით მუხტავდა შეჭირვებულ ქართულ სულს. იქ ვპოულობდით იმას, რასაც გარეთ გვიმალავდნენ, სახელისუფლებო, თანამდებობას ჩაბლაუჭებული ბიუროკრატის აკრძალვის ნიშნები უკან იხევდნენ და გვაგრძობინებდნენ ჩვენი ერის თვითმყოფადი ფესვების უკვდავებას.

დღეს კი, შევფიქრიანდი, არაერთი, არაფრის მთქმელი, თეატრალური აურზაურის გამო — ხვალ საერთოდ უარს ხომ არ ვიტყვით სცენიდან მოსასმენ ნამდვილ სიტყვაზე და სიტყვის მაგიურ ძალაზე? ორი გმირის დიალოგზე, რომელშიც თანდათან იკვეთება მიზანი, არსი ადამიანთა ყოფიერებისა, ის მაგიური ცეცხლი ხომ არ განელდება, გასუსულ დარბაზს რომ გაათბობს?

მოკლედ, მოტყუვდა მაყურებელი, ვინც ტელევიზორთან ჯდომას ცოცხალი სიტყვის მოსმენა არჩია, შინიდან წამოვიდა და, ეგონა, ეს „თავგანწირვა“ (გადაბმული სერიოზულობის ნუგბარი ბევრს იოლად არ ეთმობა), დაუფასდებოდა.

მან კი რა ნახა, ვიმეორებ, „აურზაური არაფრის გამო“, მინას მონყვეტილი როლები და ოვაციის მომლოდინე, ამოო გარჯით დაქანცული შემსრულებლები.

რეალობას რომ გაუძლო და თვალი თვალში გაუყარო, ადამიანი, სცენაზეც და დარბაზშიც, გულუბრყვილობამდე გამოუსწორებელ მეოცნებედ უნდა დარჩენილიყო.

ჩვენს უაზრო, თავსატეხებით სავსე ცხოვრებაში, რაღაც ხომ მაინც უნდა იყოს, რომ მოგიმყუდროვებს და უკეთესის მოლოდინის სანთელს არ ჩაგიქრობს!

ეგრე სად არის, ძმაო, დაო თუ შვილო და კიდევ მრავალნი, ვინცა ხართ!

გეკითხებით, რატომ მკლავთ-მეთქი! ეპ, ძვირფასებო, იქნებ ცოტა გადავამლაშე, მაგრამ ეს არის ჩემი შთაბეჭდილების ანი და ჰოე, „რაც მე მინდა“, ის შენ აღარ გინდა, ხანუმჯან, არა!

ესაა საქმე!

მე თხემიდან ტერფამდე, ხორცმუსხმული, მოსიარულე, უკეთესზე „ნატრა“ ვარ და, რას მერჩოდით, „ახალი დარდის“ ხანჯლებით რომ დამხვდით?

თქვენი იმედი მქონდა და — „თქვენცა?!“

ერთ-ერთი შესვენების დროს, ფოიეში, ერთ დროს პოპულარულ მსახიობს და რეჟისორს შევხვდი და მოვიკითხე, დიდი ხნის უნახავი, ჩვენი საერთო ნაცნობების ოჯახი — როგორ არიან, მათზე, უკვე წლებია, აღარაფერი მსმენია-მეთქი.

როგორ ჩემო ბატონო და, ძალიან კარგად... შვილები დაოჯახდნენ — ორივე, კარგა ხანია, ამერიკის მოქალაქეა, ერთი ექიმია, მეორე ბიზნესში... თვითონაც არაფერი უჭირთ და, ეკონომიურად აქ დარჩენილ მოზობლებსაც ეხმარებიან... სამდურავი ნამდვილად არ ეთქმით, ყველანი ძალიან კარგად არიანო, გამიმეორა.

რა დაგიმალოთ და მიკვირს-მეთქი.

რა გიკვირთო, მომხედა თვითონაც არანაკლებად გაკვირვებულმა.

მაგ ყველაფერს, ძალიან კარგად ყოფნას რომ ეძახით, თანაც თქვენ, თორემ ვიღაცას რომ ეთქვა...

შეცბა (სახეზე დაეტყო) მის აღტაცებას წყალი რომ გადავასხი, მაგრამ მიხვდა თუ არა ჩემი აღშფოთების მიზეზს, ეს კი ნამდვილად აღარ ვიცი.

ცოტა უხერხულადაც კი დავმორდით. რეზიუმე ასეთია, აქ ერთი კარგი, დედაქალაქში ცნობილი, ტრადიციული ქართული ოჯახი წაიშალა და ამერიკაში, მის ხარჯზე, ორი გაიფურჩქნა.

აქამდე ვფიქრობდი, მე და ეს ბატონი ერთნაირი „ნესტრი“ ვიყავით „ნაჩხვლელი“.

ვერ ვისწავლე ჭკუა, რომ ვინმეს, მსგავს შემთხვევებში, ან არაფერი აღარ ვკითხო, „ვეპოლემიკო“, ანდა, ხმამალა, მათი არასწორი პოზიცია არ გავაპროტესტო.

თუმცა, რაღა დროს ჩემი ჭკუის სწავლა...

ფესტივალის დასკვნითი აკორდი — საზემიო, „ცოცხალი მუსიკით“ გახმოვანებული ლანჩი დამთავრდა.

დაინთქა ხორავი, დაცარიელდა ნაირ-ნაირი საქმლით გაძეცილი მაგიდები, დახვადნენ ერთჯერადი თეფშები, დაცილი და დაუცლელი ჭიქები, ცარიელი პლასტმასის ბოთლები და ბოცები, როგორც ბრძოლის შემდეგ, ფარ-შიმშირებით მიყრილ-მოყრილი ლანგრები, სამწვადე შამფურები...

ამ ზღვა ხორავის მინიჭებულმა სიამოვნებამ, ყელში ამოსულმა სინოყიერემ, გრადუსმა საფეთქელს „შეკეთებული“ ალკოჰოლისა, ადამიანთა სტომაქებში ჰპოვა განსასვენებელი.

წავიდნენ ფესტივალის მონაწილენი, თანდათან გაიკრფნენ ავტობუსებით, მიკროავტობუსებით, ნაირ-ნაირი ფორმის და ფორმის ავტომობილებით, წაიღეს რეკვიზიტი, დეკორაცია, ტანსაცმელი, ფესტივალში მონაწილეობის სიგელები.

თან გაიყოფნა ხმაური, ხორხოცი, მხიარული შეძახილები.

ამათგან, ხვალ დილით, რამდენი სინანულით იტყვის, წუხელის ბევრი მომივიდაო (ვითომ მარტო გუშინ „მოუყვიდა!“).

ჩაქრა მაყალის ნახშირიდან ანთებული ალი და, ჩაქრა ზემიც, წავიდნენ სტუმრები და მასპინძლები, თეატრის ეზოს შეჩვეული მანანალებიც კი გაილაღნენ, სამადლო ძვლის მოლოდინში, ყველას ფეხებში რომ ეგლისებოდნენ.

შუა ეზოში, სასმისით ხელში, თეატრის კოჭლი ღამის მორიგე კორიკაობს — ეტყობა, ამასაც ბევრი მოუვიდა.

ნასვამი დატორღალიობს და აქეთ-იქით იყურება, ვერ გაუგია, ეზო ჟრიაბულისაგან ისე როგორ დაიცალა, რომ ჭიქის მიმჭახუნებელიც აღარავინ დარჩა.

ქარი ყველაფერს მაყალიდან წამოკრეფილ ნაცარს აყრის!

ნალვერდალის უბედან გამონათებული ბოლო ნაკვირჩხალი თვალს აპაჭუნებს და მალე ისიც ქრება.



ფიქრები, ფიქრები.
 მოდიან, განჯღრევენ, გაღვიძებენ.
 არც ბერდებიან, არც ქრებიან, არიან და არიან, გინდა თუ არა, მათი ყურმოჭრილი ყმობა, მენ ვინ გეკითხება.
 ფიქრების შენელებული, მამაპაპურ და რბაზში, დედაბოძის გარეშემო დატრიალებული კარუსელი.
 დედაბოძი — ჩვენი მოდგმის სამყაროს ცენტრი — აქ გრძობდნენ მყარად და იმედინად თავს ჩემი ოჯახის წევრები, ის ადამიანები, ახლა ფიქრებმა თვალწინ რომ ჩაატარეს.
 სხვა ვილა ნახავს იმით სახეებს, ერთგულებს ვაჭვით რომ იყვნენ იმ დედაბოძს მიბმულები, ცოცხლობდნენ, ტეხავდნენ ყამირს, ხნავდნენ, თესავდნენ, მოჰყავდათ ჭირნახული, ფქვავდნენ, აცხობდნენ, ხვდებოდნენ მტერ-მოყვარეს... მერე, დროის ნისქვილზე, თვითონაც რიგრიგობით „ჩამოიფქვენ“ თანდათან წავიდნენ... წავიდნენ...

ვიდრე დედაბოძს შუაკაურს გამოჰკრავდნენ, დარბაზი მიაცილებდა მარადიული სოფლისკენ...
 მამაჩემი იხსენებდა — პაპა ცუკა ბუხრიდან, ლუმელოს საჩხრეკით თეთრად გადამსკდარ, ურწყავის კარტოფილს გამოჰყრიდა ხოლმე, მერე დიდ-პატარას თავის გარშემო შემოგვირიგებდა და გვინანილებდა, ეს ამასაო, ეს იმასაო, ეს წერილია და ერთი ეკუთვნისო, ესა კიდევაო...

თავისთვის ყოველთვის დამწვრებს, შეუხედავებს რომ გადაარჩედა და ეტყოდნენ, რათა ადამიანო, კარგებიც აიღეო — იუარებდა, მე ესეთები მიყვარსო.
 როცა შვილები მეყოლეთ და კარგს და ხარისხიანს თქვენ გარგუნებდით ხოლმე, მაშინდა მიფუხვდი ბერიკაცს უწყინარ ეშმაკობას, ასე რატომ იქცეოდა, გვეგონა, მართლა ასე იყო და პაპას უყვარსო, უკან ვუბრუნებდით, რომელი კარტოფილიც არ მოგვეწონებოდა — მაშინ უმცროსებს არ გვიფიქრია, დამწვარ-დახრუჭულს რა გემო ან რა ჰქონდა საყვარელი...

ადამიანი აღარ შეიცვლება, „ჟამთა სვლა“ მისი ხასიათის მთავარ ნიშანსვეტს ვერც მატებს რაიმეს და ვერც ვერაფერს აკლებს — ყველა დროში უყვარდათ და სძულდათ ერთმანეთი, მოყვრდებოდნენ და იყრებოდნენ, მტრობდნენ და მოკეთებოდნენ, საზიარო მიჯნაზე, მტკაველ მინაზე ატეხილი დავის გამო, ბევრი კინკრისო გატეხილა, მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც სიკეთე და გონიერება სძალავდა, ღონივრად იდგა, „მრევლ“ არ აკლდა ზნეობის, მოკეთებობის, ნათელ-მორიხობის სალოცავს. სოფელსაც და ქალაქსაც ჰყავდა ჭკუის საკითხავი სიტყვის კაცები და არა „შედგზე ორიენტირებული“ თვითმარქვენი. მაშ რა ვქნათო, დრო შეიცვალა, ადამიანი წინ მიდის და ტექნიკურ პროგრესს ხომ უნდა ავყვეთ, ისევე ურემზე რომ ვისხდეთ, ვის დავეწვეთ ან ფეხს როგორ ავუნყოთო.

გასაგებია, ველარც პოპოვის რადიოს რეანიმაციას მოვხდენთ, ვერც დასაქოქი ტელეფონის აპარატი შევემეტოქებით ციფრულ ტიტანებს და მესიჯებით გაბრუებულ სამყაროს, მაგრამ სინდისის წმინდა სისხლის ბედაურიდან რომ ჩამოგაქვითებენ, ნახევარ ქვეყანას მათხოვრის ქუდს შემოაჩვენებენ, ქალს საშოვარზე გაავადებენ და ოჯახს დედაბოძს გამოაცლიან...


„ქართველი ისე შეეჩვია მონობას, რომ ბატონის გამოცვლა გათავისუფლება ჰგონიაო,“ — როგორც ხანჯალი ჩაგარტყან, ეგეთი მწარე სიმართლეა.
 უკანასკნელმა, თითქმის სამმა ათეულმა ნეკონადმა, ამის მეტი რა გვითხრა, რით გაგვახარა?

ადვილად ვიგუებთ მონობის უღელს! სათქმელადაც ძნელია და მოსასმენადაც.

გათხოვილი ქალი ოჯახისა იყო, შემოლობდა უნდა ეფუსუსუსა, ჰაიპარად, უცხო თვალის დასანახად, კოჭიც არ გამოსჩენოდა, დღეს კი, ეს კოჭიროლა, ოკეანის გაღმა-გამოღმა მოდებული, ზოგი თუ აქ დარჩენილთა სარჩენად, ზოგიც მათობელა ემანსიპაციით გათამამებული, უფრთებოდ დაფრინავს.

ასე ყოფილა, ევას მოდგმა, მთავარია, არ აუშვას, თორემ „შემოლობილი“ ვილა შერეკავს! ერთადერთი შემაკავებელი, ოჯახი, სწრაფი კვების ობიექტს დამგვანებული, ტრადიციების სადავეგანყვეტილი, უსაძირკველი ხუხულა, გადასაჩეხად ირწყევა, ქანაობს...

ეს „ქანაობა“, ბიძგები და მეჩერები დიდი წყალწყვის გემებს ვერაფერს აკლებს.
 ჩემია სავაგლახო, საოხრავი და თავში საცემი — ფშავ-ხევსურეთის საგმირო-სატრფილო ეპოსის სწორუპოვარ საზუდარში, ლამის სულიერი აღარ წიაქებს, ხინკლის „შამამხვევს“ ვინჩივის, მტრის ჯინაზე გარმონის გამწვლიც აღარ ჩანს და, სარეკლამო რგოლების გადასაღებად (ტურისტიკის მოსაზიდად, რა თქმა უნდა!) ნახევსურალ-ნაფშაველებს, ბარიდან შევაშველებთ ხოლმე.
 არა, ყველაფერი ჩვენ თავს რომ დავაბრალეთ, არ ვიქნები მართალი — თვითმფრინავიდან, პირაშუტად შემოტყუებული, სამათხოვრო გუდამოკიდებულები გადმოგვიშვეს და მტერსა და ავს, რაც დაგვემართა.



მიუხედავად ამისა, ნეტავი უფრო რბილად დაშვება მაინც ხომ შეგვეძლო-მეთქი!
 სანყალო, ჩემო თავო, ამას რა „ნეტავი“ და „მაინც“ უნდა!
 დახედე ავგისტოს უზნეო ომის შემდეგ მოლოპრილ ქართული სოფლებს და პასუხიც შუბად გექნება!..

დიდმა გულგატეხილობამ სახადივით ჩამოგვიარა, ცხენს რომ ვერაფერი დავაკელით, უნაგირს მივდექით — გვახრჩობს გათითოკაცების, გულცივობის, ეჭვისა და უნდობლობის სარეველა.
 აკაკის საქართველოში თუ ჯერ კიდევ ახსოვდათ უღვაშის ორიოდე ღერით გაჩენილი სამართალი, განასკვულ ნაჭერში ან ცხვირსახოცში საგულდაგულად გადახვეულმა „შუამავალმა“ რახანია დაკარგა ავტორიტეტი, საპირწონედ უკვე აღარ ცნობს არც კერძო ვალის გამცემი, არც ბანკი და არც ლომბარდი.

საუკუნეებია, რაც ორივე მხარე გაირყვნა — ვალის გამცემიც და თამასუქად წარმოდგენილი უღვაშის პატრონიც.
 თანაც, საჯარო რეესტრმა თუ არ დაგიდასტურა, ერთიც ვნახოთ და კოკობი უღვაშის ნაცვლად ღორის ჯაგარი შემოგატყუონ...

ცხოვრება მკაცრია და დაუნდობელი. სცენაზე ოვაციებით გაბრუებულებს, უნდა გვახსოვდეს, როგორც კი ტაშის თანხლებით გაბრწყინებული, საზეიმოდ მორთული სცენიდან გავალთ, ჩაბნელებულ-გათოლილი კულისებში, ჩვენი თანამდევნი, ტრადიციული პრობლემები, ყველაფრის მკადრებელი, მკვლელი ყაჩაღებივით დაგვხვდებიან.

აინუნება ძველი დარდები, მაშ რა ჯანდაბას იზამენ.
 უკვე აღარაფერი გვიკვირს, არც სანყენი, არც მიუღებელი და, რომ აღარ გვიკვირს, ახლა ეს გვინუნავს ისედაც დაულაგებელ ნერვებს.
 „კულტურის დღევანდელი კასტრაცია რამდენად ღრმა სულიერ და მორალურ მდგომარეობამდე მიიყვანს ხვალ ერს?“ — ვაცლავ ჰაველი.

5 ოქტომბერი — ვაცლავ ჰაველი და მე ერთ დღეს ვყოფილვართ დაბადებულები. ეს ისე...
 ბიჭოს! რა კარგია! არც უღვაში გაგიპუტია, არც ადვოკატ-რეესტრი შეგიჯეერებია, ეგრე იოლად და სარფიანად გაგი-

რიგებია საქმე!.. გამაგებინე, ისედაც ნაგებული თამამიდან, როგორ გადიხარ, ანდა სულერთი როგორ არის საით გაჯირითდები, ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ! თან რომ არც გძულს და არც გიყვარს, ეგ როგორა ხდება, უკან გულდასანყვეტი აღარაფერი გრჩება?
 ეგრეა, მორჩა და გათავდა!
 „ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან კეთილ ჩვევებს“ — პავლე მოციქული.
 „საზოგადოებას“ ვილა ხრწნის?
 „ხალხის ალაგას მასაა გამეფებული, რომელშიც პიროვნება, ეს უღვთისნიერესი მოვლენა, სრულად ითქვიფება“ — გრიგოლ რობაქიძე.
 უახლოესი ათწლეულების გამოცდილებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ დიდი დრო და ძალისხმევა არ სჭირდება ადამი-

ანების „საალიზე“ მასალად ქცევას და ერთ თარგზე გამოჭრას.
 სამაგიეროდ, შეუძლებელია, ამ მასის ხელახლა ხალხად მოქცევა, რომელიც თავისთავად წარმოაჩენს პიროვნებებს, როგორც ქვეყნის სამომავლო ღობის გამამგრებელ, შემომატიცებელ მარგილებს!
 აინუნება ძველი დარდები-მეთქი. ძველი და მარად ახალი!
 „დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი, მაგრამ ღმერთის სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია!“ — ლუკა.
 „მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით“ — ლუკა.

იოანეს თავი მოჰკვეთეს. ქრისტე ჯვარს აცვეს. წმინდა ილია მართალს წინამური „დაუდგინეს“ გოლგოთად.
 დიდი და მცირე გოლგოთებითა დახუნძლული კაცობრიობის ისტორიის და მესხიერების ხე.

მოდიოდნენ (ღვთის ნებით) რჩეული ერთეულები, რათა მილიონები ესხნათ უსახური მასის ძალადობისაგან.
 წარსულისკენ რომ გავიხედებო, ხშირად მეფიქრება ხოლმე პატარა, სოფლელ ბიჭებზე, წმინდა წყაროს სათავესავით, თავთავის ქართული, დედაბოძიანი დარბაზებიდან, ანდა მინური ქოხმახებიდან რომ გამოაჩნდებო, მოდიოდნენ, მოლონიერდნენ, იბრძოლეს, იღვანეს და, როცა აღესრულენ, ქვეყანას დიდი სახელები დაუტოვეს: ყვარლელი ილია, სხვიტორელი აკაკი, ჩარგლელი ვაჟა, ვარიანელი იაკობი, საგურამოელი დავითი, ჭყვიშელი გატუნია, მირზანელი ნიკალა, სტეფანწმინდელი სანდრო (ვგონებ, არც შოთა დაბადებული თბილისის პრესტიჟულ უბანში)...

სახელების ჩამოთვლა, ჩვენდა საბედნიეროდ, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს...
 თბილისის დუქნების ტრუბადურს, ნიკო ფიროსმანაშვილს, ალბათ, ზოგიერთები ჭიქა არაყს ამადლიდნენ, კეთილი გულით პატივს სცემდნენ. რა იცოდნენ, რომ ნიკალას, თვითნაზად „ბაჯალლოს“, სასმლის წვეთიც არ დაუღვავია უფასოდ — სულ იხდიდა, როგორც „წინაზს“ შეჭფერის, გულუხვად.

„წარსულის გამოცდილება გვეხმარება მომავლის განჭვრეტაში!..“
 ფურცელს გაგანდე თუ არა, ეს ჯერ კიდევ ქვის ხანაში უმანკოებადაკარგული „სიბრძნე“, მაშინვე ნაშლა დაევაირო, მაგრამ გამახსენდა „ოპუსს“ მოქილიკე სულელებიც რომ წაიკითხავდნენ და ხელი აღარ ვახელი, პირიქით, მისატყუებელი მუჭა საკენიკც გადავუყარე:
 თუ წარსულისაკენ შევბრუნდებით და მომავალს ზურგს შევაქცევთ, ამით მაინც არაფერი შეიცვლება — როლები მაინც იგივე შერჩებათ, მომავალი წარსულში ვერ გადაინაცვლებს და პირიქით.

ვიდრე ქვებუდნები ნისკარტებს და გულის ჭიას გაახარებენ, ჩვენ ისევე პირველ სიტყვაზე მივიდეთ:
 პაპაო, პაპაო, მენ კი გაგძვრა ტყაპაო, რად იცი ასეთი გაკერპება, ჯერ კარტოფილი რაა და მერე ისიც ესეთი დამწვარ-დაჩამიჩებულიო...
 გაქირა, გაქირაა, მაინც ძვრას ვერ უხამდნენ, რამდენიც არ უნდა შეხვეწოდნენ, თავისას არ გადავიდოდა ბერიკაცი, მე ესეთები მიყვარს, მორჩა და გათავდაო...
 საიდან სადაო, მაგრამ:
 იმით არა ჰგვანება, მუცლის პატრიოტებს, ორთაქალის ბაღებში, ქეიფ-ქეიფ, ჰარი-ჰარალეთი, მთელ ქონებას და ადგილ-მამულს რომ ანიავებდნენ და შთამომავლობას დამწვარ-დაფუტულსაც აღარ უტოვებდნენ...
 ან კიდევ იმათ...
 ან კიდევ...
 განა რამდენს ჩამოთვლი?!
 „არ მინდა ძველი დარდები...“
 არ გინდა, მაგრამ მენ ვინ გეკითხება, წამოგახტუნებს, წამოგვსამს ძილგამკრთალს და საწოლის თავს მოჩვენებასავით ავაცუდებს.
 სარკმელში დამორცხვებულმა სხივმა შემოიხედა.
 მასხენდებდა, პირველი აპრილი რომ თენდება.
 ჩემ მოტყუებაზე იოლი არაფერია და, მითუმეტეს დღეს, წინ რა დაუდგება!
 იქნებ დავასწრო სხვებს და ალ-ჯაზირას კორესპონდენტთან, ისეთი საპირველ-აპრილო ტყუილი დავახეთქო, ჩვენში ძუძუთა ბავშვიც რომ არ ირწმუნებს და არც დაიჯერებს:
 — ამადლდა ჭერი! მოკვდა მტერი!



ანტონიო მარიალო

მგზავრო, აქ გზა არ არსებობს

შენი ნაფეხურებია, მგზავრო, ეგ გზა, დამიჯერე; მგზავრო, აქ გზა არ არსებობს, გზას შენ ქმნი მაგ ნაბიჯებით. ნაბიჯებით გზას თავად ქმნი, თუ გახედავ უკან, სწორედ იმ გზას ნახავ, რასაც უკვე ვერ გაივლი ხელმეორედ. მგზავრო, აქ გზა არ არსებობს, მხოლოდ ზღვაში კვალი მდორე.

უკაცრიელი მოედნისაკენ

უკაცრიელი მოედნისაკენ გზას მივიკვლევ ვინრო ჩიხების ლაბირინთში. ერთ მხარეს ვხედავ

დასანგრევად განწირული ეკლესიის

ძველ პირქუშ კედელს; მეორე მხარეს კვიპაროსების და პალმების ბალის ლოზელვარებს თეთრად, ჩემ წინ კი, სახლი, სახლის ფანჯრებზე გისოსები, რომლის მშვიდი და მომღიმარი ფიგურები იბინდება მინაზე ნელა. განზე გავდგები. არ მინდა, შენს ფანჯარაზე დავაკაკუნო... გამოზაფხულდა. უკაცრიელი მოედნის თავზე შენი თეთრი კაბა ფრიალებს? ნითლად იფეთქებს მალე შენი ვარდის ბურქები... მინდა შევხედო...

სიზმარი

გადაიყარა ღრუბელი; ცაზე ცისარტყელას რკალი ბრწყინვალეებს, მინდვრად წვიმის ზანზალაკები მზის სხივებმა ააციმციმა. გამომელვძია. ჩემი სიზმრის ჯადოსნური კრისტალები ვინ აამდვრია? ჩემი გული აჩქარებით და მძლავრად ფეთქავს. ...ყვავილგაშლილი ლიმონები, ბაღში მდგარი კვიპაროსები, ამწვანებული მდელო, წყალი, მზე, ცისარტყელა! და შენს თმაში შერჩენილი წვიმის წვეთები!.. ყოველივე გაქრა ჩემი მახსოვრობიდან, როგორც ქარში საპნის ბუშტები.

შემოდგომის აისი

ხულიო რომერო დე ტორესს

ეს გრძელი გზა მოჩანს ციდან, ირგვლივ რუხი კლდე მალალი, დგანან შავი ხარები და მწირ მინდორზე ბალახობენ. მოსდებია სარეველა, ძალღმაცვალა.

მიწა, ცვარით დანამული ნოტიოა, ჯერ არ შრება, ჩანს ვერხვანარი ოქროსხმული, მდინარისკენ რომ ეშვება. იისფერი მთების მიღმა გაკრთა სხივი ალიონის. მხარზე თოფით, მწვერებს იხმობს, რომ მინდორში გემი იკრან, მონადირე ფრთხილად მოდის.

მატარებელი

ყოველთვის, როცა მივმგზავრები (მესამე კლასის ვაგონით მუდამ, სადაც ძელსკამებს შეჩვევა უნდა), მიწევს მსუბუქი ბარგის ტარება. თუკი ცას ღამის სიბნელე ფარავს, წავთვლემდი ცოტას, რატომაც არა, დღისით კი ვუმზერ პატარა ხეებს, ფანჯრის იქით რომ მიქნევენ ხელებს, მატარებელში არ მძინავს, გზა რომ გავლიო, მაგრამ მშვენივრად ვმგზავრობ.

ნეტარებაა, გზას რომ ადგახარ! გაივლი ლონდონს, გაივლი მადრიდს... თვალს გჭრის, შორიდან როცა ნახავ და თუ ჩახვალ — ჩნდება ფიქრები ავდრის. კვლავ მატარებელს მივყვებით, მიქრის, გზა ამშლელია ყოველთვის ფიქრის; და გვაგინყდება, ყველა ალაგი რომ გაგვივლია უნინ ჯაგლაგით. ოჰ, ვირი, მან ხომ გზა კარგად იცის! სად ვართ? საიდან ან საით წავალთ? ვხედავ მონაზონს, როგორც ფერიას. მშვენიერია! ნათელი სახე იმდენ სევდას და ტკივილს იტევს, რომ უსასრულო იმედებით ვივსები, ვხედავ. და ამას ვფიქრობ: ნეტარი ხარ; სიყვარული მიეცი ქრისტეს; რადგან არ გსურდა, ყოფილიყავ ცოდვილთა დედა. დედავ ქალწულო, ყველა ქალს შორის დედობრივი ხარ ყველაზე მეტად. ღვთებრივია შენი სახე, ზოლიანი თავსაფრის ქვეშ რომ დავინახე. შენი ღანვები — დაფერილი ყვითლად ვარდები, ერთ დროს რომ იყო ვარდისფერი, მერე კი შენში მოგიზგიზე ცეცხლის ალმა უცვალა ფერი;

და ახლა უკვე, ჩაველილია როცა ყოველი, შენა ხარ სხივი, სინათლე ხარ ჩაუქრობელი... პირმშვენიერმა ყველა ასულმა, შენს მსგავსად, ტურფა ყველა ქალწულმა მონასტერში იპოვა ბინა!.. იმ გოგონამ კი, მე რომ მიყვარს, ასე ინება, დალაქის ბიჭთან ამჯობინა დაქორწინება! მატარებელი მიდის და მიდის, ისმის ორთქლმავლის გაბმული ხველა, თანდათანობით ეშვება ბინდი. ჭექა-ქუხილი იქნება, ელავს!

და ახლა უკვე, ჩაველილია როცა ყოველი, შენა ხარ სხივი, სინათლე ხარ ჩაუქრობელი... პირმშვენიერმა ყველა ასულმა, შენს მსგავსად, ტურფა ყველა ქალწულმა მონასტერში იპოვა ბინა!.. იმ გოგონამ კი, მე რომ მიყვარს, ასე ინება, დალაქის ბიჭთან ამჯობინა დაქორწინება! მატარებელი მიდის და მიდის, ისმის ორთქლმავლის გაბმული ხველა, თანდათანობით ეშვება ბინდი. ჭექა-ქუხილი იქნება, ელავს!

ზაფხულის ღამე

მშვენიერია ზაფხულის ღამე. ძველი ქალაქის მაღალ სახლებს გამოუშლიათ აივნები ფართოდ გაშლილი მოედნისაკენ. ამ უკაცრიელ დიდ კვადრატზე, ქვის მერხებსა და აკაციებს, სიმეტრიულ მწკრივად გამოჰყავთ თეთრ ქვიშაზე საკუთარი შავი ჩრდილები. კოშკის საათის დიდ ციფერბლატს ზენიტიდან მთვარე ანათებს. და დავაბიჯებ ამ ძველ ქალაქში მარტოდმარტო, როგორც აჩრდილი.

გზაში

მავრიტანული ქალაქიდან ძველ კედლებს მიღმა უხმაურო საღამოს ვუმზერ, ჩემს ჩრდილთან და ჩემს სევდასთან ეულად მყოფი.

მედიდება მდინარე წყნარად დაბინდულ ბაღებს და ზეთისხილის რუხ ჭალებს შორის, ბაესას ვრცელ და ცხოველმყოფლ მინდვრებზე, სადაც

ოქროსფერი ვაზის ყლორტები დაუზუნძლავს ალისფერ მტევნებს. გვადალკვივირი დამსხვრეული ხმალივით გდია და სარკესავით ბრწყინავს მინდვრად მიმოფანტული.

შორს თვლემენ მთები ნისლ-ბურუსში გახვეულები, შემოდგომის მშობლიურ ნისლში; ასვენებენ ქვის არსებები ვებერთელა, უხემ სხეულებს ნოემბრის ამ თბილ, მეწამულ და ღვთიურ საღამოს.

ქარი ატოკებს გზის პირებზე განძარცვულ თელებს, მიწიდან ხვეტავს მტვერს ვარდისფერ კორიანტელად. ამოდის მთვარე, დალურჯებული, სავსე სახით და მძიმედ სუნთქავს.

იკვებებიან თეთრი ფერის ბილიკები და შორდებიან, დავიქებ მთებში და მინდვრებში მიმოფანტულ პატარა სოფლებს. ო, სოფლის გზები... მე უკვე ვეღარ ვისეირნებ გოგოსთან ერთად!

თარგმანი ვასილ გულუშრაძე

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ღამაზმანები


ფიქრები გრანდ ოპერის გახსნაზე

სმოკინგში გამომწვევად ჩაცმული, და გაპარსული სათანადოდ, ვსეირნობ — ოპერას გარს ვუვლი — გარემოებამ განწყობილება გადამადო. ვხედავ, ტალღებად ანტრაქტზე, ღამაზმანების აზვირთებას. დარბილდა ხასიათი, ახლა მე მშვენიერების განცდით ვთვრები: მკერდი — ათასმული, ფრჩხილები — გაკრიალებული და ელვარე, ტურნები — საღებავანასმული, ფრანგული სურნელი გამიზრდის მე ვალებს. ამუქებს თვალბთან სილურჯეს რეტუში და ჩემს წინ ღამაზმანებს ზურგები შიშველი; და მზე ორაგულის ფერს იძენს სხეულში, ფერს იძენს მარჯნის და ფერს იძენს გიშერის. დაცურებული მხრებიდან იატაკს ხვეტავენ შლიფები, ასეთ სიღამაზეს ერიდეთ, ერიდეთ ასეთ სიღამაზეს „რეფელეობ“. კმარა შემობრუნება თავის — ბრილიანტებშია ჩასმული ყურები, გულისპირს ამიშვლებს ქარი — ღირს სამკაულების ყურებაც. ერიდეთ სუნთქვას — კაბაა მჩატე, ზღვას, ზღვას ერიდეთ და მოჩვენებას. ვუმზერ კრებდემინს, ცას, ზოლებს ფართეს, ღრუბლის მაქმანის ვუმზერ მშვენიებას. იაგუნდები ლიცლიცებენ, ნათელიც ნათელზე დაშენდა. ეჰ, ასეთ კაბას და უფრორე... უფრორე, უფრორე ასეთ ტანს.

რუსეთს

აი, მეც მოვედი სირაქლემა, უცხო და შორეული, ჟღერენ რითმები, სტრიქონების მასხია ფრთები, და სწორედ ამ დროს, ჩემს სულელ თავს მორეული, საკუთარ ფრთებში და ბუმბულში ვნევიარ და ვთბები. მე შენი არ ვარ, თოვლიანო, გონჯო, ართვალო, უფრო ღრმად გმართებს, სულო, ახლა ფრთებში ჩანოლა, ასეთ დროს სულ სხვა სახეს იღებს თვალში სამყარო და ჩრდილოეთურს სამხრეთული ანონასნორებს. ცხელი კუნძული პალმებში ჩაფლულა, „ჰეი, გზა მომეცით“ — სათქმელი მათქმევინეთ. ნუ მებრძვით, დამტოვეთ ჩემს კუთვნილ ზაფხულთან და სილის საათით დრო-ჟამი მათვლევინეთ. ძაღლების ყეფაზე შევცბები, ლიქსაც ვერ ვიტან — განვიცდი. „დედა, ა, დედა, მოაქვს მას კვერცხები?“ „არ ვიცი, სულიკო, ნამდვილად არ ვიცი“. სახლების ღრიალი, ქუჩების თვალთვალი, და ციდან ჟამი-ჟამს ცივი წყლის სხურება; და ცივი ზაფხულით, და ცხელი ზამთართ, მე ამ გამოტანჯულ დროს ვემსახურები. ჩამბლუჯე ხელი საზიზღარი და ამიტაცე, და მერე ქარის სამართებლით ფრთები შემეჭერი; ვდგევიარ დეკემბრის გალიგვებულ და ბნელ მიწაზე, საითაც უნდა გადავიკარგო — იმ გზას შევცქერო.

თარგმნის ზაალ ებანოიძე და კოტე კიკნაძე



ქარდა ქარდუხი რა სურთ ქალებს?

ოისუნთქა, ხშირად ამოუხეტქავს ფიქრებში და აზრებში ტანჯვად „ნეტავ ბევრი ცოდევა გქონდა, ბიჭო?“ ქვრივი, აბა, როგორ არაა, სამყაროს ქვრივია ეთერო, მარტოსული ქალია, არაა ეგრე ქერქეტა, როგორც შეიძლება, მოეჩვენოს ადამიანს ერთი შეხედვით, მისი სამყაროც მურაბითა და ჩაით უფრო პრუსტიული მადლენის სამყაროა და არა — მეჯღანუაშვილის. ჩვენს ეპოქაში გადმოსული, მახინჯი ყოფიერების ქვრივია ეთერო. ოთარანთი რომ გააგდებს სოსიკას, ყოველთვის ცუდი განცდა მრჩებოდა, რას ერჩოდა-მეთქი, რას აითვალუნა, უყვარდა და ამისთვის როგორ გააგდო-მეთქი? ჰო, ის ერთი ნამიერი დაშვებაც გამოირიცხული იყო ოთარანთი ქვრივისთვის, სიკვდილს (თან სასაცილოდ უაზროს) გადარჩენილმა ეთერომ ის ერთნამიერი დაშვება დაუშვა, და ხან უკუნ სიბნელესა და ღამეს სთხოვს ნამუსის შენახვას, ხანაც მასზე მართლაც უზომოდ შეყვარებულ ოჯახმოკიდებულ მამაკაცს აფიცებს ზენაარსს, არ გაუთქვას ქალს ძლივს მოპოვებული სიყვარული და თავისუფლება, მაგრამ არის კი თავისუფალი? როცა ასე შეშინებულია ქალი, როცა ეჭვით უყურებს უახლოესებს, ემანდა, არ შემადიკონ ლოყაზე ნაკოცნიო? კი ამბობს სოლომონ ბრძენი, ვერ გამოგია კაცის კვალი ქალში, მაგრამ ეთეროს მაინც ეშინია, ისე ეშინია, ღამაზე საცვლებსაც ვეღარ ყიდულობს, სექსუალურ საცვლებს, როგორც თვითონ ჰგონია, ემანდა, ვინმე არ შეამჩნიოსო. მაშ, სად გადის ზღვარი თავისუფლებას, სიყვარულს და მრუშობას შორის? იქნება და თვითონ ამ ზღვრის ძიება ყველაზე დიდი ბოროტება? ამ 21-ე საუკუნეში ისევე თვალსა და ხელს შუა ხომ არ გამოგვეპარა ქართველი ქალების ამკარად უთანასწორო მდგომარეობა ჩვენს სოციალურში? გამოგვჩვენებ, ხანდახან ვულგარული მეჩვენა თამათს რომანში ნატურალისტური ფიქრები, მაგრამ გამოვიჭიროთ თავი, მამაკაცის ნაწერი რომ ყოფილიყო, შეიძლება არ მომჩვენებოდა ან შეიძლება მომჩვენებოდა, მთლად არ დავიმდაბლებ თავს, ხელოვნური გამოვივა ამ კარად; არ აქვს მნიშვნელობა მწერლის სქესს, უბრალოდ მაინც ხომ არაა ზოგან ვულგარიზმები? არის თუ არა საჭირო მხატვრულ ნაწარმოებში ასეთი ყოფითი სახელები? მაგრამ ასე რომ ფიქრობს ადამიანი მარტოდარჩენილი საკუთარ თავთან, ასეთი სიტყვებითა თუ ცნობიერების მორღვეული ნაკადით რომ აზროვნებს ძეხორციელი? ეს უკვე ყოველი ნადი მწერლის ინდივიდუალური გადასახვევია.

ეთეროს სახით უკიდურესად მარტო მყოფი ადამიანი დაგვიხატა მწერალმა, ქვრივობამდე დაქვრივებული, უთავსაფრო დედაც კი; დიახ, 21-ე საუკუნეში აჯანყებული შუშანიკია, ოლონდ უფრო მწერალი, საზოგადოებას როგორც ჯოჯიკს შემოაღწა სახეზე უთანასწორო, ამკარა დაჩაგრული ქალის ფიქრები. ანა კორძაიას „შუშანიკის შვილებში“ ამყვან ასეთი გრძობა, თუმცა, ბუნებრივია, იქ ამკარად გადაღობულია ეს ზღვარი და ანას ქალებს არ ტანჯავს უთანასწორობის შეგრძნება ან არც უცდია იმ რომანში ამ თემის ნამოტივიტივება, აქ კი ამკარად საზოგადოება გამოინვი თამათამ და სამართლიანადაც.

რაც უნდა ვიძახოთ, მე-12 საუკუნეში ქალი გვეყავდა მეფედ, ეგ არ შველის ჯერჯერობით თანამედროვე აზროვნებას, ცნობიერებას — სამწუხაროდ, ამ ეტაპზე შეიძლება ეგ თემა ამერიკასა და ევროპაში უკვე ისევე მოათავეს, როგორც მონათმფლობელობა და რასიზმი, მაგრამ ჩვენთან ჯერაც მრავლად არს სამკალი. ხო, იქ მოითავეს, მაგრამ ჩვენთან რომანის კითხვისას სულ ლებანიძისეული ფროსტის სტროფი მქონდა აკვირებული:

„მაგრამ ჭკუით მოიქეცი, რაკი ქალთან მიხვალ:“

ისეთი უფრო განწყობაზე რომ ხარ, სტრინდბერგის „ნითელ ოთახს“ გადადებ, ფოლკნერის ჯერაც წაუკითხავ რომანს აილებ და იმასაც გადადებ (ჰო დროებით, ნუ გამომედავებით, თორემ ჩემი უსაყვარლესი მწერალია) და მელაშვილის რომანს ჩაუჯდები, ეგაა ალბათ ნიშანი, რომ კარგი ნაწერი. სხვა დანიშნულება, აბა, რა აქვს მწერლობას — უნდა გაგიტაცოს, რავითარის. მართალია, „ერთი გზობა“ კი იფიქრებ, ამ ეთეროს თვითრებზე ფიქრი და მსჯელობა მინდა ახლა მეო — მაგრამ გრძობ, რომ ჯუდი ბლუმის რომანივით მთლად მენსტრუაციაზე არაა ეს ნიგანი. ულისეში რომაა დეფეკაცია და თირკმლის ამბებზე, ეგ ხოა გენიალური?! აბა, ეთეროს აგზნებამ თეთრთმანი კაცის დანახვაზე და მენსტრუალური ტკივილის მოლოდინში მუცლის ნინკენამ რაღა დააშავა?!

თამათა მელაშვილმა შეგვახედა ქალის ნიაღში კიარადა, უფრო შინაგან სამყაროში. საღვა ან-ნუაიის „თაფლის სამხილი-სადმი“ მიძღვნილ შთაბეჭდილებებში მქონდა ამის მსგავსი აზრი და მომიკომენტარა ერთმა კარგმა ადამიანმა, „ეგ გგონია ქალის არსიო?“ რა თქმა უნდა, არა. ქალის შინაგანი სამყაროა, რა თქმა უნდა, ქალის არსი.

გამოვცდეთ, თუ მამაკაცის დანერგული თუნდაც პიკანტური და სკაბრეზული გამონათქვამები არ გვეხამუშება ხოლმე, მაშინ ქალის ერთი გამოთქმული პიკანტური და შიშველი რეალიზმი რად უნდა გვიკვირდეს? და არც უკვიროს კიდევ ვინმეს თანამედროვე განვითარებულ სამყაროში. მგონი, არც ჩვენთანაც უკვე, მხოლოდ ესაა, ლიტერატურის ბუნებრივ, მაგრამ საკრალურ ხომალდს ქვეითად ადევნებული მონიჭიერო ლიტერატორები ასტეხენ ხანდახან ნიოსს და მალე არც მათ მოუსმენს ვინმე. მთავარია ერთი რამ — ნიჭი ან უნიჭობა.

თამათს მიერ დახატული გმირების, უმთავრესად მაინც ეთეროს, მონოლოგი არის თუ არა დამაჯერებელი და გულწრფელი? მომეჩვენა, რომ არის. შეიძლება რამდენიმე ადგილას სულ ოდნავ გაგკრას ეჭვმა, აქ სქემატურობა და ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი ნიუანსი ხომ არააო, მაგრამ გამეფანტა ეგ ეჭვები, რომანი არაა დამლულად შინაგანი მონოლოგი, უფრო მეტიც — გატაცებით იკითხება და მშვენიერი სიუჟეტიც აქვს თავისი კვანძის გახსნით. კარგი სათავგადასავლო რომანიც კია. ერთი ესაა, რომ ეთეროს ორსულობის ამბავს მკითხველი იმაზე ადრე ხვდება, ვიდრე, შეიძლება, უნდა ხვდებოდეს, ან შეიძლება ამდაგვარადვე ჩაიფიქრა ავტორმა? მაინც იგრძნობა სიუჟეტში, რომ ექოსკოპის პასუხი უნდა იყოს კვანძის გახსნა.

ჩვენს ეპოქაში გადმოსული ოთარანთი ქვრივი დამიდა თვალნინ. თითქოს ყურის მოთრეული შედარებაა — არც ქვრივია ეთერო და არც შვილი მოჰკვდომია, მაგრამ ამ კომპონენტშიც, ღამის სადისტი ძმის სიკვდილი, რითაც ვითომ თავისუფლად ამ-

არ ვიცი, რა სურთ ქალებს. ქალები-გამოცანები, ქალები-ამოუხსნელი და ეს ზღაპრები ერთი სტილისაა — საერთოდ, ადამიანია ამოუხსნელი და გამოუცნობი, რა შუამია ქალი და კაცი?

ასე რომ, ერთადერთი გზა, რა სურთ ქალებს, როგორია მათი შინაგანი სამყარო, ქალი მწერლების, ქალი შემოქმედების გადასაჭრელი არაა — ეს ალბათ მცდარი მიდგომაა, ნიჭიერი შემოქმედის გადმოსაცემია და ასახსნელი. ჰომეროსის წამით გაეღებოდა ჰელენე, შექსპირის ქალები და ანები და ნატაშები, თუნდაც კაცის შინაგანი სამყაროდან გახსნილი ქალის ბუნება განა ცუდად გვიხსნის ქალის სამყაროს? ევრიპიდესა და რუსთაველთან ასახული ქალისა თუ კაცის ბუნებაზე მეტი რაღა შეიძლება გადმოსცეს ხელოვანმა? ან ქალი მწერლები ნაკლებად გადმოსცემენ კაცის შინაგან სამყაროს? სხვა რომ არაფერი, ნაირა გელაშვილის „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ ხომ კლასიკაა ამ მხრივ. და მაინც, ქალების მიერ უკომპლექსოდ გადმოცემული ქალების შინაგანი სამყარო ჩვენთან მაინც ახლა იდგამს ფეხს. მხოლოდ ნიჭიერი ქალი შემოქმედები, პლუს, გენდერული უთანაბრობის შეგრძნების სრულად გამიქრობნი თუ შემატებენ ახალ სიმამარესა და სიმალეს იმის გენიალურად ასახვას, თუ რა სურთ ქალებს. და სწორედ ამ რკალშია, ჩემი აზრით, თამათს ეს კარგი ნიგანი გასააზრებელი.

მათხოვართან ჩაძინებული ეთერო, უფალს მინდობილი და დამშვიდებული ალბათ ოსტატური დასასრულია, შეიძლება უამრავს არ მოეწონა და სხვა დასასრულს ელოდა, მაგრამ ერთი რამ უეჭველია — ვეებერთელა სივრცეს ტოვებს ავტორი მკითხველისთვის, საკუთარი გემოვნებით განასრულოს ეს კარგი ნაწარმოები.

ვულოცავ მწერალს ამ კარგ ნიგნს და ულევ ნარმატებას ვუსურვებ, რომელიც, საბედნიეროდ, მგონი, ისედაც არ აკლია...

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით: ერთი კონვერტით — საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დანებსული პრემიები:

- ბრან-პრი — 3000 ლარი — ასპინძის საპატო მოქალაქის ეზარ ასპინძისაგან;**
- პირველი პრემია — 1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;**
- მეორე პრემია — 1000 ლარი — კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;**
- მესამე პრემია — 600 ლარი — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.**

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არაუმეტეს ხუთისა.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გამართება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე — შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა 3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელეფონი: 599979524.